პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 248 (19689) ოთხშაბათი, 29 ოქტომბერი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ზამთრისათვის მზადყოფნა მკაცრ მომჭირნეობას ნიშნავს

ამთარი კარს მოგვადგა, აგრილდა. დგება პერიოდი, რომელსაც ენერგეტიკოსები „პიკის“ სეზონს, შემოდგომა-ზამთრის მაქსიმუმს უწოდებენ. სწორედ ახლა იწყება ელექტროენერგიისა და, საერთოდ, ყველა სახეობის საათობრის ინტენსიური სარჯვა. ძალიან გაუჭირდებათ იმ საწარმოებს, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციებს, რომლებმაც არ დაიჭირეს თადარიგი, არ განაპირობეს ლონისძიებანი ზამთარში შეუფერხებელი მუშაობისათვის.

ყველას კარგად ახსოვს, რამდენი უსიამოვნება მოგვაყენა შარშანდელმა უჩვეულო სუსხიანმა ზამთარმა. არავინ იცის, რა „სიურპრიზებს“ გვიმზადებს წლევანდელი ზამთარი. თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს, როგორიც უნდა იყოს იგი, ზამთარი მაინც ზამთარია. ახლა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ რაოდენ გონივრულად ვხარჯავთ თხევად სათბობს, ქვანახშირს, გაზსა და ელექტროენერგიას.

ჩვენ უკვე არაერთგზის გვითქვამს, რომ წავიდა ის დრო, როცა განუსაზღვრელად, უდარდელად ვიყენებდით ყველა სახეობის მატერიალურ რესურსებსა და, კერძოდ, სათბობს. წლეულს და შემდგომ პერიოდში ვერც ერთი საწარმო, ორგანიზაცია ვერ მიიღებს ლიმიტით გათვალისწინებულზე კილოვატსაათით მეტ ენერგიას, გრამ საწვავს. ამიტომ დროის ამ უმკაცრესი მოთხოვნით ყველამ უნდა იხელმძღვანელოს. ზედმეტი არ იქნება ერთხელ კიდევ გავიხსენოთ ის ფაქტი რომ მეთორმეტე ხუთწლედსა და შემდგომ პერიოდში ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალური განვითარების დაჩქარება უმკაცრეს მომჭირნეობას ეფუძნება.

ბევრი ორგანიზაციული ღონისძიების განხორციელების, პროგრესული ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვის, საწარმოო პროცესების სრულყოფის, ახალი პროდუქციის აითვისების შედეგად სათბობ-ენერგეტიკული რესურსების მომჭირნე სარჯვის მსრივ რეზერვები გარკვეული წარმატებებია მოპოვებული. ახლა უფრო მეტად საწარმოში ექცევა ყურადღება ერთეული პროდუქციის დამზადებაზე ელექტროენერგიის სარჯვის ნორმების შემცირებას. მარტო ამ გზით წლის განვლილ პერიოდში ათიათასობით კილოვატსაათი ენერგია დაიზოგა. აქვე დავძენთ, რომ ამ მხრივ დიდი როლი შეასრულა იმ ფაქტმაც, რომ „საქმთავარენერგომ“ მკაცრი კონტროლი დაუწესა ენერგიის სარჯვას.

ელექტროენერგიის რაციონალურ გამოყენებას წლეულს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ მრავალი სტატია, კორესპონდენცია მიუძღვნა და მომავალშიც არაერთხელ გახდის ამ საკითხს მსჯველობის ერთ-ერთ უმთავრეს საგნად. დღეს ყურადღებას „ნავთობპროდუქტების“ სარჯვაზეც გავამახვილებთ.

ამ სახეობის სათბობი რესურსების რაციონალურ გამოყენებას ახლა განსაკუთრებული სიმკაცრით აკონტროლებს რესპუბლიკის „ნავთობპროდუქტების“ სახელმწიფო კომიტეტი, რომელიც უფლებამოსილია დაუფლებელივ აღკვეთოს რესურსებით უთავბოლოდ სარგებლობის ყველა შემთხვევა. წლეულს, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, შემოწმდა სხვადასხვა უწყებისა და სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორჯერ მეტი საწარმო და ორგანიზაცია. ანალიზმა ცხადყო, რომ ბევრ მათგანში ხორციელდება ტრანსპორტის რაციონალურ გამოყენებასთან, ტვირთზიდვის დროს საწვავ-საპოხი მასალების დაკარგვასთან, წამტვებებისა და თვალსახედვების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებასთან დაკავშირებული ღონისძიებები, როგორც ამას მოითხოვს სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის აგვისტოს, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1983 წლის დეკემბრის შესაბამისი დადგენილებები.

ეს სწორია, მაგრამ მართალია ისიც, რომ ჯერ კიდევ მრავალ ორგანიზაციაში არ არის შემუშავებული ზემოხსენებული დადგენილებების შესრულებისათვის საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებები, ან ხშირად ისინი ფორმალური ხასიათისაა, არა აქვთ რესურსების სარჯვის ოფიციალური ნორმები. 119 შემოწმებული ორგანიზაციიდან, მაგალითად, 28-ს არ ჰქონდა სათბობის ეკონომიის გეგმა-დავალება. მათ შორის აღმოჩნდნენ სახაგრომრეწვის, სამშენ მასალათა მრეწველობის საავტომობილო გზების სამინისტროების, ცეკავშირის ორგანიზაციები.

ბევრია საწვავის არადანიშნულებისამებრ გამოყენების, შეუსრულებელ სამუშაოზე წამატებათა შემთხვევა. რესურსების გადახარჯვის მიზეზია აგრეთვე სუსტი ტექნოლოგიური დისციპლინა, პროფილაქტიკური რემონტების არადროული განხორციელება, ნავთობის შესანახი და გამწყობი მეურნეობების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა, საადრიცხვო მონაცემების დამახინჯება და სხვა. სწორედ ალურიცხაობის მიზეზია ის ფაქტიც, რომ არცთუ ცოტა ორგანიზაცია ითხოვს და ხარჯავს გაცილებით მეტ სათბობს, ვიდრე სჭირდება. წლის დამდეგიდან „ნავთობპროდუქტების“ სახელმწიფო კომიტეტის ინსპექციამ მარტო 16 ორგანიზაციაში აღმოაჩინა 879 ტონა საწვავის არადანიშნულებისამებრ გამოყენების ფაქტი. მათ შორის გასწავთ ბორის სათბობი მეურნეობის სამმართველო, საშენ მასალათა მრეწველობის სილიკატური მასალების ქარხანა, მადნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატი. 282 ტონა სადიზელო სათბობი გადახარჯა მარნეულის ავტოსატრანსპორტო გაერთიანების მეთაურმა საწარმომ, რესპუბლიკის მშენებლობის სამინისტროს № 113 ავტობაზამ — 97,7 ტონა ბენზინი და 63 ტონა დიზელის სათბობი, საქმიოკომბინატმა — 27,5 ტონა ბენზინი და სხვა.

ირღვევა საფონდო სახელმწიფო დისციპლინა, ნიაღდება დიდძალი საწვავ-საპოხი მასალა. შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით საწვავის არადანიშნულებისამებრ გამოყენებისა და გადახარჯვისათვის შემოწმებული 28 ორგანიზაცია 435,2 ათასი მანეთით დაჯარიმდა.

სამწუხაროა, რომ მეტწილ შემოწმებულ ორგანიზაციებში უზრუნველყოფილი არ არის საწვავ-საპოხი მასალების საიმედო დაცვა-შენახვა. რეზერვუარების არაეფექტურობისა და სხვა ტექნიკურ გაუმართაობათა გამო დიდძალი რესურსები იკარგება.

ყველაფერი ეს იმაზე მიუთითებს, რომ სამინისტროები, უწყებები, საწარმოები არ უწევენ კონტროლს საწვავ-საპოხი მასალების ნორმირებულ სარჯვას, იჩენენ ამ მხრივ ყოვლად შეუწყნარებელ უპასუხისმგებლობას.

თბო-და ელექტროენერგიის რესურსების ეკონომიკურ სარჯვასთან დაკავშირებული ამოცანების გადაწყვეტაში, ენერგოსამსახურის გარდა, უნდა ჩაებნენ ყველა საამქროსა და უბნის ხელმძღვანელები, ტექნოლოგები, მექანიკოსები, ეკონომისტები, აგრეთვე ის მოწინავე მუშები, რომლებმაც ტექნოლოგიური პროცესების მართვის საკმაო გამოცდილება შეიძინეს. ეს, უპირველესად, ეხება იმ საწარმოებს, რომლებშიც მომჭირნეობისათვის ბრძოლა არ მიმდინარეობს ორგანიზებულად და მიზანდასახულად.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ მხრივ სასურველ შედეგს ვერ მიაღწევთ, სანამ არ დაკამკვიდრებთ ერთეული პროდუქციის გამოშვებაზე სათბობისა და ენერგიის დანახარჯების მეენიერულად დასაბუთებულ ნორმებს. ნორმირებული უნდა იყოს სათბობისა და ენერგიის დანახარჯები ძირითადი და დამხმარე საწარმოო პროცესებისათვის. მთელ რიგ სამრეწველო საწარმოებში ენერგორესურსების სარჯვის ნორმები არ არის რეალური, ისინი უსაფუძვლოდაა გადიდებული. სხვანაირად შარშან საგრძნობ ეკონომიას ვერ მიაღწიეს საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებმა.

შემოდგომა-ზამთრის მაქსიმუმის წარმატებით დამთავრებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ენერგომომცველი დანადგარების დროულ შეკეთებას, ვისაც ჯერ ამ მიმართულებით არაფერი გაუკეთებია, ან ცოტა რამ გაკეთა, დროულად უნდა მიხედოს საქმეს, ძალების მაქსიმალური დაძაბვით ჯერ კიდევ შეიძლება მისი მოგვარება.

საერთოდ, მატერიალური რესურსების და, კერძოდ, ელექტროენერგიისა და სათბობის მომჭირნე სარჯვა, ყველა ორგანიზაციის კოლექტივებისა და მათი ხელმძღვანელების მუშაობის შეფასების კრიტერიუმი გახდა.

წლეულ „პიკის“ სეზონი განსაკუთრებით დაძაბული იქნება. ამას მოსახლეობის საყურადღებოდაც ვამბობთ. ნუ ეხარჯავთ უთავბოლოდ ენერგიას, გამოერთოთ ოთახები მოკაკაშე ნათურები, როცა არ გჭირდება. კაცს, რომელსაც გული სტკივა საერთო საქმისათვის და აწუხებს თავისი ქვეყნის ბედი, არ გაფლანგავს და მით უმეტეს არ მოპარავს სახელმწიფოს ენერგიას.

კომკავშირელებო და ახალგაზრდობავ! გაბედულად, აქტიურად, ნოვატორულად ჩაებით დაჩქარების ამოცანათა გადაწყვეტაში!

სრულიად საკავშირო ალკკ XX ყრილობას — ღირსეული შეხვედრა!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან

29 ოქტომბერი კომკავშირის დაბადების დღეა





ახალი წარმატაცი საქმეებით, შემოქმედებითი პათოსით, საინტერესო შთანაფიქრებით ხვდება ლენინური კომკავშირის დაბადების დღეს ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობა. ახლა კომკავშირულ ორგანიზაციებში დიდი დაინტერესებული ბჭობაა — მიმდინარეობს ანგარიშგება-არჩევნები, ხოლო ქარხნებსა და ფაბრიკებში, მინდვრებსა და მეცხოველეობის ფერმებში, მშენებლობებზე და სხვა შრომითს კოლექტივებში გახურებული მუშაობაა — ახალგაზრდები თავდაუზოგავად იღვწიან, რათა ამრავლონ ქვეყნის დოვლათი და ბარაკი, ღირსეული საჩუქრები მიუძღვნან დიად ოქტომბერს, უფრო მეტი წვლილი შეიტანონ მეთორმეტე ხუთწლედის პირველი წლის წარმატებით დაგვირგვინებაში.

მათ შორის არიან საქართველოს საზღვაო სანაოსნოს კომკავშირელები. ქვეყნის ამ ყველაზე ახალგაზრდა სანაოსნოს გემებზე და ნავსადგურებში თითქმის 2.300 კომკავშირელი შრომობს, — თქვა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ჯამბულ ნინაძემ. — მათს ენთუზიაზმზე, ენერგიაზე, დისციპლინაზე, საქმის ერთგულებაზე დამოკიდებულია მთლიანად სანაოსნოს წარმატებები.

ნავსადგურის მუშაკებმა სრულყვეს ერთიანი ტექნოლოგიური პროცესი, მნიშვნელოვნად შემცირდა გემის დგომის დრო. დაზოგილია 128 ათას კილოვატსაათზე მეტი ელექტროენერგია, 27 ტონა პირობითი სათბობი. ამის შედეგად ბათუმის ნავსადგურმა ორ დღეს დაზოგილი სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით იმუშავა.

ბათუმელმა ახალგაზრდა დოკერებმა გადაწყვიტეს მომავალი 1987 წლის 6 თვის დავალება სრულიად საკავშირო ალკკ XX ყრილობის გახსნის დღისათვის — 15 აპრილისათვის შეასრულონ.

სურათებზე: ნავსადგურის კომკავშირის კომიტეტის მდივანი უან ლორია (მარჯვნივ) და № 4 კომსომლური ბრიგადის ზენაკალგამმართველი თენგიზ ვარშანიძე აკონტროლებენ დატვირთვა-გადმოტვირთვის კომპლექსის მუშაობას; საზღვაო სანაოსნოს კომკავშირის კომიტეტის მდივანი ჯამბულ ნინაძე; ბათუმის მარშალ ა. გელოვანის სახელობის საზღვაოსნო სასწავლებელი ამზადებს კადრებს საქართველოს საზღვაო სანაოსნოსათვის; სანაოსნოს კომკავშირელთა წინამძღოლი ჯამბულ ნინაძე აცნობს პრაქტიკანტებს თავიანთ მომავალ სამუშაო ობიექტებს.

ზ. დათიკაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ეს სამთოელთა პრესტიჟის საქმეა

რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის ულაგმანად იცნობდნენ ბოლო ხუთწლედების მანძილზე ტყიბულის ლენინის სახელობის შახტს. მის კოლექტივს ტყიბულის სამრეწველო საწარმოთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში არაერთხელ უსახელებია თავი. მარტო მეთერთმეტე ხუთწლედში სამთო საწარმომ მომხმარებელს გეგმის გადამეტებით 94 ათასი ტონა საკოქსე ქვანახშირი გაუგზავნა.

დიახ, ეს იყო წარსულში, მაგრამ ნაქებმა კოლექტივმა ახალ ხუთწლედში ვერ შეინარჩუნა მუშაობის სწრაფი ტემპი და მარტიდან მოყოლებული დათმო მოწინავე პოზიციები. სამარცხვინოდ ჩამორჩა და უკან ეწევა ქალაქის მრეწველობის საქმიანობას. მიმდინარე წლის 9 თვეში შახტმა მომხმარებელს 25 ათას ტონამდე ქვანახშირი დააკლო. ეს საკმაოდ სოლიდური ციფრია და მისი ანაზღაურება საბადოს სხვა მოწინავე შახტებს არ ძალუძთ. უკიდურესად გაუარესდა სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლებიც. მაგალითად, რეალიზაციის დავალების შესრულებას დააკლდა 751 ათასი მანეთის პროდუქცია. თითოეული მუშის შრომის ნაყოფიერების გეგმა იანვარ-სექტემბერში 93,6 პროცენტით შესრულდა. ნაცრიანობის დადგენილი სტანდარტის დარღვევისათვის მამდიდრებელმა ფაბრიკამ შახტს არ აუნაზღაურა 40 ათას ტონაზე მეტი ქვანახშირის დირებულება, ხოლო ნესტიანი პროდუქციის მიწოდებისათვის 70275 მანეთით დააჯარიმა. ერთი სიტყვით, დაჩქარებისა და გარდაქმნის ხუთწლედის სტარტზე მდგომარეობა ერთობ საგანგაშო შეიქმნა.

ამიტომ გაზეთ „კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი ვ. ციერეკიძე შეხვდა შახტის დირექტორს ბ. არაბიძეს და სთხოვა ეპასუხა რამდენიმე კითხვაზე.

— რა არის ნაქები შახტის კოლექტივის ასეთი მოულოდნელი ჩამორჩენის მიზეზი? რა მოხდა ისეთი, რომ საწარმო თავს ვერ ართმევს საგეგმო დავალებათა შესრულებას?

— მე, გვიპასუხა მან, ამ ჩამორჩენილი სამთო საწარმოს ახალი ხელმძღვანელი ვარ, მას ამ ერთი თვის წინათ ჩავუდექი სათავეში, მაგრამ საქმის ვითარებას ვიცნობ, მანამდე პარტიის საქალაქო კომიტეტის მრეწველობის განყოფილებას ვხელმძღვანელობდი. ჩამორჩენის მიზეზი მრავალია. მთავარი, ჩემი აზრით, მაინც ის არის, რომ შემცირდა ქვანახშირის მარაგი და გაუარესდა გეოლოგიური პირობები. ამიტომ ახლა ჩვენ პერიფერიულ სამთო ველებში ვმუშაობთ. ქვანახშირის მონგრევის სამუშაო პროცესების შორს გადანაცვლებამ გაართულა როგორც. ქვანახშირის ამოსაღები ფენის დამუშავება, ისე მონგრეული სათბობის მიწის ზედაპირზე ამოტანა. გაძნელდა ტექნიკური ექსპლოატაციით გათვალისწინებული წესების დაცვა. შახტის ეზოდან საექსპლოატაციო უბნები დაშორებულია არანაკლებ 2,5-3 კილომეტრით. ასეთმა მანძილმა და დიდმა წნევამ, რომელიც ღრმა სანგრევებში და ჰორიზონტებზე განვითარდა, გააძნელა შახტის კაპიტალური გამონამუშევრების მოვლა-დაცვა, გაიზარდა სარემონტო სამუშაოთა მოცულობა, რაც კვალიფიციურ მებიგეებს მოითხოვს, ასეთებით კი განებივრებული არა ვართ. ჩვენი შახტი ახლა ოცამდე კილომეტრი საერთო სიგრძის გვირაბებისაგან შედგება. მათი ერთი ნაწილი უყურადღებობის გამო მწყობრიდან გამოვიდა. განსაკუთრებით დაზიანდა საზიდი გვირაბები, გაფუჭდა საშახტო რკინიგზა, ფერდება მონგრეული. ქვანახშირის ტრანსპორტირება, იმატა ავარიებმა. აი, დღეს მესამასე ჰორიზონტზე რკინიგზის ცუდი პროფილის გამო ორი ელმავალი გადავარდა რელსიდან. ავარიის ლიკვიდაციას საკმაო დრო დასჭირდა. ეს შემთხვევა გამონაკლისი როდია. ქვანახშირის სამრეწველო მარაგის შესავსებად „საქქვანახშირის“ გაერთიანებამ შახტს გადასცა ალმოსავლეთ ფრთაზე მდებარე სამთო ველი. აქ, გეოლოგების აზრით, 10 მილიონი ტონა მაღალხარისხოვანი ქვანახშირია. შახტის კოლექტივმა დაიწყო ქვანახშირის ფენების გადასახსნელი სამუშაოები, მაგრამ მზადების სწრაფი ტემპი ვერ განვავითარეთ. საქმე ის არის, რომ წინ გადაგვეღობა გეოლოგიური სიძნელეები, წავაწყდით ხშირი ნასხლეტების ზონას.

იძულებული ვიყავით მიგვეტოვებინა 300 მეტრი სიგრძის სამთო გამონამუშევარი, წყალში გადაიყარა ასიათასობით მანეთი.

— ეს სამთოელთა პრესტიჟის საქმეა

ყველაზე ცუდი ის არის, რომ სამთო სპეციალისტებმა ჯერ კიდევ ვერ დაადგინეს ამ საველე გვირაბის გაყვანის ახალი მიმართულება. ეს კი მომავალშიც დიდ გავლენას მოახდენს ახალი სამუშაო ფრონტის მომზადებაზე, ქვანახშირის მარაგის გადახსნაზე.

არის ჩამორჩენის სხვა მიზეზებიც, რომელთა არსებობა ჩვენ არ გვამართლებს. აი, თუ გზებავთ, გაცდენა-დაგვიანება, შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის დაბალი დონე. სანგრევის მუშებმა გააცდინეს 234 სამუშაო დღე. ეს იმას ნიშნავს, რომ შრომის დისციპლინის დარღვევით სულ მცირე 2700 ტონა საკოქსე ქვანახშირი დაკარგეთ. როგორც ჩანს, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის კიდევ ბევრი მუშაობა დაგვჭირდება.

— რა ღონისძიებებს ახორციელებთ მდგომარეობის გამოსასწორებლად?

— მდგომარეობის გამოსწორების მიზნით შახტის ადმინისტრაცია და „საქქვანახშირის“ საწარმოო გაერთიანების შესაბამისი სამსახურები ეძებენ ქვანახშირის სამრეწველო მარაგის შევსების ეფექტიან გზებს. უკვე გადაწყდა მეზობელი — ე. მინდელის სახელობის შახტის ქვანახშირის სამრეწველო მარაგიდან ერთი სამთო ველის გადმოცემის საკითხი. ამ ველის მარაგი 700 ათასი ტონა სათბობია. ახლა აქ ჩქარი ტემპით ვამზადებთ სამუშაო ფრონტს. გავაძლიერეთ გვირაბგამყვანთა ბრიგადები, გადავიყვანეთ ისინი იჯარით მუშაობის პროგრესულ მეთოდზე. უკვე გაყვანილია ქანობი, ახლა გაგვყავს საქვესართულო გამონამუშევრები.

დიდ იმედს ვამყარებთ ქვანახშირის მექანიზებულ ამოღებაზე. ამ მიზნით ქვანახშირის იმ 10-მეტრიან ზოლში, რომელიც სულ ახლახან გადმოგვცეს, სანგრევის მომზადებას შევუდექით. აქ ქვანახშირის მოხგრევას და ყველა სხვა სამუშაო პროცესს მექანიზებული კომპლექსი შეასრულებს. მსგავსმა მექანიზებულმა კომპლექსებმა სამდღის დანარჩენ შახტებში გაამართლეს დანიშნულება და, ვფიქრობთ, არც ჩვენ დავრჩებით გაწბილებულნი. მომავალში ამ ახალ მექანიზმს უფრო სრულყოფილად ავითვისებთ და შედეგიც უკეთესი გვექნება. ახალი კომპლექსი განზრახული გვაქვს ავამუშაოთ მომავალი წლის მეორე კვარტალის ბოლოს. ერთი სიტყვით, შახტის საექსპლოატაციო უბანს მალე უზრუნველვყოფთ საიმედო სამუშაო ფრონტით.

დიდი ყურადღება დაეთმობა სოციალური საკითხების მოგვარებას. კაპიტალურად გავარემონტებთ შახტის მუშათა კლუბს. მეშახტეთა ძირითად დასახლებაში მოვაწყობთ კინოდარბაზს. შენდება სამი მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, სადაც ასზე მეტი მეშახტის ოჯახი იცხოვრებს. გავარემონტებთ შახტში მისასვლელ საავტომობილო გზას. პირდაპირ აქილევსის ქუსლად იქცა მუშათა საცხოვრებელი ბინების გათბობა. უკვე ზამთარი მოახლოვდა და გათბობის საქმე მოუგვარებელია.

— როდემდე გაგრძელდება ჩამორჩენა?

მომდინარე სამეურნეო წლის დამლევამდე მდგომარეობა ვერ გამოსწორდება. არ არის სასიამოვნო ჩამორჩენილთა რიგებში ყოფნა, მაგრამ რა ექნათ, სიმართლეს თვალებში უნდა შეეხედოთ. სამთო საქმე ძალიან რთულია. ის, რაც წლების მანძილზე არ გაკეთებულა, ახლა ერთბაშად ვერ გაკეთდება. მომავალი წლის იანვრიდან კი ჩამორჩენას დავძლევთ. საამისოდ შახტის კოლექტივს უნარიც შეგვწევს და ენერგიაც გვაქვს.

რედაქციისაგან: მართალია შ. არაბიძე ახალი დანიშნულია შახტის დირექტორად, მაგრამ არც ადრე არ იყო მისგან შორს. მანამდე ხომ იგი პარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის მრეწველობის განყოფილების გამგედ მუშაობდა და, ცხადია, იცოდა, როგორ კნინდებოდა საწარმო. ტყიბულის სახალხო მეურნეობის უმთავრესი დარგი ქვანახშირის მრეწველობა და მისი ფლაგმანი კი ლენინის სახელობის შახტია. ასე რომ, სიტყვა „ახალი“ ამ შემთხვევაში კარგავს „თავდაცვითს“ მნიშვნელობას.

მეთერთმეტე ხუთწლედში და ადრეც რედაქციას, მართლაც ყოველთვიურად მოსდიოდა პატაკები ამ საწარმოს „თავბრუდამხვევი“ წარმატებების შესახებ. იღუბნენ ქვანახშირის და მის მომავალზე, როგორც დირექტორის ნაამბობიდან გამოდის, ცოტას ფიქრობდნენ. ახლა, როცა შახტი დაბეჩავდა, მრავალ მიზეზს იშველიებენ. რა გამართლება აქვს, მაგალითად, ისეთ ფაქტებს, როცა ოცი კილომეტრი საერთო სიგრძის გვირაბების ერთი ნაწილი უყურადღებობით გამოდის მწყობრიდან, ზიანდება საზიდი გვირაბები, ფუჭდება საშახტო რკინიგზა, ფერხდება მონგრეული ქვანახშირის ტრანსპორტირება და ელმავლები რელსებიდან გადმოდიან?

სამთო სპეციალისტებმა საველე გვირაბის გაყვანის ახალი მიმართულება ვერ დაადგინეს, მიტოვებულია 300 მეტრი სიგრძის სამთო გამონამუშევარი, წყალში გადაიყარა ასიათასობით მანეთი. ვინ აგებს პასუხს ამისათვის? ნუ დავგავიწყდება, რომ გვირაბის გაყვანის მიმართულების დადგენა სამთოელთა კვალიფიკაციის დონეზე, მათს ინტელექტუალურ შესაძლებლობაზეც მიუთითებს, ეს საპრესტიჟო საკითხია.

ყოველდ შეუწყნარებელია ის ფაქტი, რომ საწარმოში მოშლილია შრომის დისციპლინა და ამის გამო მარტო ცხრა თვეში 2700 ტონა საკოქსე ქვანახშირი დაიკარგა.

შახტის დირექტორი იმედს გამოთქვამს, რომ მომავალი წლის იანვრიდან მდგომარეობა გამოსწორდება. გვარწმუნებს, რომ მის კოლექტივს შესწევს საამისოდ უნარიც და ენერგიაც. ეს შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ, თუ ამთავითვე არ იზრუნეს დისციპლინის განმტკიცებაზე, მშრომელთა სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე, ცადრების დამკვიდრების საქმე წინ ვერ წაიწევს. შ. არაბიძე ხომ თვითონ ამბობს: კვალიფიციური მუშებით განებივრებული არა ვართო.



ДИДИ ОКТОМБРИС, ПОЗДРАВЛЯЕМ

ზუგდიდი: არის წლიური გეგმა

მოკრეფილია 75 ათას ტონაზე მეტი ნედლეული, ნაცვლად 74.900 ტონისა. გეგმის გადამეტებით დამზადდება 2.500 ტონა ჩაის ფოთოლი.

საქართველოს კომპარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. კვარაცხელიამ თქვა:

— ოქტომბრის შუა რიცხვებში ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმის შესრულება საამაყოდ როდი მიგვაჩნია, მაგრამ უამინდობამ მძიმე პირობები შეუქმნა მეჩაიეებს. მაის-ივნისში დიდძალი ძვირფასი ნედლეული დაკარგეს.

პლანტაციებში დამატებითი სასუქების შეტანის, დანაკარგებთან ბრძოლისა და სხვა ოპერატიული ღონისძიებების განხორციელების წყალობით 25 ოქტომბრის ჩათვლით მოიკრიფა 75.387 ტონა ხარისხოვანი ნედლეული — საგეგმო დავალებაზე 487 ტონით მეტი.

კარგად იმუშავეს ზედა ეწრის ჩაის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი — ო. ნანავა), დარნელის გაზეთ „კომუნისტის“ სახელობის საბჭოთა მეურნეობამ (დირექტორი — ო. ანთია), კახათის მარქსის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე — ჯ. გუგუნია), ნარაზენის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე — მ. ლომაია) მეჩაიეებმა.

აღსანიშნავია ახალსოფლის ლენინის (თავმჯდომარე — კ. კიკალიშვილი), ჭკადუაშის (თავმჯდომარე — კ. ანთია) და სხვა საზოგადოებრივი მეურნეობების მეჩაიეთა გარჯა. მათ თავდადებით იშრომეს წლის დავალების შესრულებისათვის. გეგმის რეალიზაციისათვის ენერგიულად გაისარჯნენ ჩაის ფაბრიკების კოლექტივები (გაერთიანების გენერალური დირექტორი — რ. ივარდავა). მათ შეუფერხებლად დროზე და ხარისხოვნად გადაამუშავეს ნედლეული.

რაიონის მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს ხუთნლის დამთავრებამდე დამატებით მოკრიფონ 2.500 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმები გადაჭარბებით შესრულეს ცხაკაიას, ხობის, ლანჩხუთის, ტყიბულის ზონის, გალის, ხელვაჩაურის, სამტრედიის რაიონების მშრომელებმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

პრიტიკა აქტიურობის სტიმულია

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა შრომის დისციპლინის განმტკიცების, უშრომელ შემოსავალთან და ლოთობასთან ბრძოლის შესახებ ქობულეთის რაიონული გაზეთის „ლენინელის“ კრიტიკული პუბლიკაციების საკითხი.

შეაფასა რა დადებითი ძვრები გაზეთ „ლენინელის“ მუშაობის გარდაქმნაში (რედაქტორი — რ. ლ. აბულაძე, პარტორგანიზაციის მდივანი — ე. გ. ჩხაიძე), საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა, რომ რედაქციამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებზე საყოველთაო უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ. ამ მიმართულებით რაიონული პარტორგანიზაციის საქმიანობის საჯაროობა სწორად რაზმავს მშრომელებს, ზრდის მათ აქტიურობას, პირად პასუხისმგებლობას ყველაფრისათვის, რაც ხდება. რედაქცია ფართოდ უთმობს ტრიბუნას პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო მუშაკებს, რიგით მშრომელებს, ახალგაზრდობას. აქტიურად მოქმედებს მუშსოფლკრთა ქსელი, რომლის შემადგენლობაში შედის დაახლოებით 50 მუდმივი კორესპონდენტი. პუბლიკაციებში ყურადღებას იპყრობს ავტორთა პრინციპული პოზიცია, გაანალიზებულია უშრომელ შემოსავალთან ბრძოლის შესახებ პარტიული და სახელმწიფო გადაწყვეტილებების შესრულებისათვის პირველადი პარტორგანიზაციების მუშაობა. ყველა ეს გამოსვლა უნარიანად არის დაკავშირებული პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში საანგარიშო-საარჩევნო კამპანიასთან, სასოფლო ყრილობებზე ცალკეული ფაქტებისა და მოვლენების განხილვასთან. გადაქცია რა ნაალოვანებანი საერთო კრიტიკის საგნად, გაზეთი ამავე დროს ეწევა ახსნა-განმარტებითს მუშაობას, იზიდავს კომპეტენტურ ავტორებს. ასეთი საჯაროობა, დემოკრატიზმის სულისკვეთება დადებით გავლენას ახდენს რაიონში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებაზე.

საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომი სწორად წარმართავს სარედაქციო კოლექტივის აქტიურ მუშაობას, მუდამ აცნობს ჟურნალისტებს ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებსა და პროცესებს, ოპტიმალურად უწევს კოორდინაციას გარდაქმნისა და დაჩქარების აქტუალური საკითხების გაშუქებას, ახორციელებს თავიანთ ბეჭდვითი ორგანოს გამოსვლების ქმედითობის გადიდების ღონისძიებებს. პარტიის რაიკომის ბიურომ მოისმინა და დადებითად შეაფასა გაზეთის რედაქტორის ანგარიში ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლისათვის მუშაობის შესახებ. მხარი დაუჭირეს და მოიწონეს აგრეთვე პუბლიკაციები, რომლებშიც მწვავედ გაკრიტიკეს ჩაქეის საავადმყოფოს მუშაობა, დისციპლინის, წესრიგისა და ორგანიზებულობის განმტკიცებისათვის საბრძოლველად გაზეთის მიერ მიღებული ზომები. პარტიის რაიკომის ასეთი დამოკიდებულების, გაზეთის გამოსვლების პრინციპული პარტიული მხარდაჭერის, ჟურნალისტთა კოლექტივის აქტიურობის შედეგად გაიზარდა რაიონული გაზეთის ავტორიტეტი, მისი ორგანიზატორული როლი სახელმწიფო და შრომის დისციპლინის განმტკიცებაში, პარტიულ-პოლიტიკური და იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის გარდაქმნის განხორციელებისათვის კომუნისტთა პირადი პასუხისმგებლობის გაძლიერებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა ქობულეთის რაიონული გაზეთის „ლენინელის“ რედაქციის მუშაობა პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის მოთხოვნათა მიხედვით მისი საქმიანობის გარდაქმნისათვის, აღნიშნა, რომ საქართველოს კომპარტიის ქობულეთის რაიკომი სწორად წარმართავს და მხარს უჭერს თავისი ბეჭდვითი ორგანოს აქტიური მუშაობას.

მიღებულ დადგენილებაში პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს დაევალათ იხელმძღვანელონ სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებებით, რათა ძირფესვიანად გარდაიმნას იდგილობრივი პრესის მუშაობა და გაზეთების

ქოვნდება სიმძლავრეთა ათვისება

მეთერთმეტე ხუთწლედში დაიწყო და გრძელდება ქუთაისის კონსტიტუციის სახელობის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნის რეკონსტრუქცია. ზემდგომი ორგანოების დადგენილების შესაბამისად, იქმნება სიმძლავრეები სოფლის მეურნეობის მცირე მექანიზაციის საშუალებების მასობრივი წარმოებისათვის.

სულ რეკონსტრუქციის დაწყებიდან, ათვისებულია 37 მილიონი მანეთის კაპიტალური დაბანდება, შესრულდა 18,3 მილიონი მანეთის სამონტაჟო სამუშაოები, აშენდა მთავარი საწარმოო კორპუსი, ზოგიერთი სხვა საჭირო ობიექტი.

ერთი სიტყვით, საექსპლოატაციოდ გადაეცა სიმძლავრეები 10 ათასი ცალი მოტობლოკის დასამზადებლად. ჩამოყალიბდა საკონსტრუქტორო ბიურო, ტექნოლოგიური და მეტალურგიული სამსახურები, შეიქმნა საიარაღო, სარემონტო და ენერგეტიკული ქვედანაყოფები, რომლებიც უზრუნველყოფენ ქარხნის ნორმალურ მუშაობას, დაწყებულია სამთო მიწათმოქმედების მანქანების და ტრაქტორების ქარხნის მშენებლობა სოფელ გეგუთის ტერიტორიაზე.

მიუხედავად ამისა, არ შესრულებულა საგრეიტქივო დოკუმენტებით განსაზღვრულ სიმძლავრეთა ამოქმედების პროგრამა. დამაკმაყოფილებელი არ არის მშენებლობის ტემპი, ობიექტის დაკომპლექტება ტექნოლოგიური მოწყობილობებით, ნელა მიმდინარეობს ამოქმედებულ სიმძლავრეთა ათვისება. ნაკლოვანებებია კვალიფიციური სპეციალისტებით ქარხნის დაკომპლექტების საქმეში.

რეკონსტრუქციის მძიმე პირობებში არსებული სიძნელეების, პროდუქციის ნომენკლატურაში ცვლილებების, სიმძლავრეთა ათვისების ნელი ტემპის გამო გაუარესდა ქარხნის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები. ამოქმედებული ძირითადი ფონდების შესანახი ხარჯები მსმიე ტვირთად აწვება პროდუქციის თვითღირებულებას.

ფონდუკუნგება ძირითადი ფონდების ერთ მანეთზე შეადგენს 17 კაპიკს. დანახარჯები ერთ მანეთ სასაქონლო პროდუქციაზე ვერ უზრუნველყოფს მოგებას. ძნელდება მატერიალური წახალისების ფონდების ფორმირება. აქ მომუშავეთა დიდი ნაწილი, ეგრეთ წოდებული არასაწარმოო პერსონალი 430 კაცს აღწევს, ამის შედეგად მცირეა ახლად ამოქმედებულ საამქროსა და უბნების მომუშავეთა საშუალო ხელფასი, იგი 150 მანეთს არ აღემატება.

წლეულს აქ უნდა უზრუნველყონ თერმული და გალვანური საამქროების საექსპლოატაციოდ გადაცემა, საინჟინერო კომუნიკაციებისა და გამწმენდ ნაგებობათა კომპლექსის ამოქმედება, აღნიშნულ ობიექტებზე შესასრულებელია სამონტაჟო და გამართვის სამუშაოები. № 4 სამშენებლო ტრესტის სამოქმედო უბნებზე ეს სამუშაოები რეალურია და დაძაბული მუშაობით შესრულდება. ამას ვერ ვიტყვით „საკომშენის“ ობიექტებზე. თუ მშენებლებმა რადიკალურად არ შეიცვალეს საქმისადმი დამოკიდებულება, ქარხანა კვლავ დარჩება ტექნიკური წყალმომარაგებისა და გამწმენდი ნაგებობების გარეშე. რთული პრობლემებია გადასაწყვეტი საწარმოს მოსამარაგებლად დანადგარებით, ტექნოლოგიური აღჭურვილობით, მაკომპლექტებელი დეტალებით.

მიმდინარე წლის დარჩენილ პერიოდში საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს თითქმის 7 მილიონი მანეთის ტექნოლოგიური მოწყობილობა, მათ შორის 5 მილიონი მანეთის — იმპორტული. სრული სიმძლავრით უნდა ამოქმედდეს საიარაღო და ენერგო-მექანიკური საამქროები, ფერადი სხმულებისა და პლასტმასების უბნები. დასამონტაჟებელი და ასამოქმედებელია მექანიზებული საწყობები, სამღებრო ხაზი და საამწყობო კონვეიერები.

ქარხანამ, როგორც შემკვეთმა, უნდა უზრუნველყოს მშენებლების, მემონტაჟეების, ჩარხმშენებლების და უცხოთეთის ფირმების სპეციალისტების შეთანხმებული მუშაობა.

საექსპლოატაციოდ გადასაცემი საამქროებისათვის აუცილებელია სათანადო კადრების მიღება და მომზადება. მშენებლობის ტემპი ვერ უზრუნველყოფს სამღებრო და საამწყობო ხაზების მონტაჟსა და ამოქმედებას. დიდი მოცულობის სამუშაოებია შესასრულებელი საინჟინრო კომუნიკაციების გასაყვანად და გზების კეთილმოწყობისათვის.

დ. გედენიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სოფელს დეპუტატთა ხელი დაეტყო

მხოლოდ სტუმრად თუ მიდიან ახლა აჭარისწყალელ მეზობლებთან პატარა მთის სოფლის კაპნისთავის მცხოვრებნი. არადა, სულ ცოტა ხნის წინათ ჩადიოდნენ იქ მაღაზიაში, ბიბლიოთეკაში, კინოში, ბავშვების ნაწილი სკოლაშიც კი იქ დადიოდა. ისიც მოუხერხებელი გზით. საჭირბოროტო საყოფაცხოვრებო პრობლემების გადაჭრაში სოფლელებს დაეხმარა ხელვაჩაურის რაიაღმასკომის მუშაკებთან შეხვედრა. რაიაღმასკომმა წესად აქცია მოაწყოს ვითარების სხდომები, გაეცნოს ვითარებას და ადგილზე შეძლებისდაგვარად გადაწყვეტოს სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხები.

მაგალითად, კაპნისთავის საქმის ვითარებას რომ გაეცნენ, რაიაღმასკომის მუშაკებმა სოფლის მცხოვრებლებთან ერთად საერთო დასკვნა გამოიტანეს: მიზანშეწონილია ნახევრად მიგდებული შენობის რეკონსტრუქცია, რომლის ნაწილიც ეკავა დაწყებითს სკოლას, და პირველ სართულზე მოაწყონ სამედიცინო პუნქტი, მაღაზია და ბიბლიოთეკა, მეორეზე კეთილმოაწყონ საკლასო ოთახები. აღმასკომმა გამოყო საჭირო ფონდები, კაპნისთაველებმა კი გადაწყვიტეს საკუთარი ძალებით განეზორციელებინათ სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები. თვე-ნახევრის შემდეგ მათ ზემოთ აღნიშნეს ერთბაშად ოთხი უაღრესად საჭირო ობიექტის გახსნა.

სტაციონარული კინოდანადგარისათვის სოფელში ჯერჯერობით არ არის შესაბამისი შენობა. მაგრამ აქაც ვანახეს გამოსავალი. რაიაღმასკომის კინოფიკაციის განყოფილება რეგულარულად, კვირაში ორჯერ გზავნის იქ მძრავი კინოდანადგარით აღჭურვილ მანქანას. ეს ადრეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ სოფლისაკენ მიმავალი გზა ცუდ მდგომარეობაში იყო. ამის გამო, სხვათა შორის, სარეისო ავტობუსიც ძალზე იშვიათად დადიოდა. მაგრამ ახლა ყველაფერი მოგვარდა. რაიაღმასკომის გასვლითი სხდომის გადაწყვეტილება სოფელ კაპნისთავის გზის კეთილმოწყობის შესახებ ორ თვეში შეასრულა რაიონის საგზაო სამმართველომ, როგორც დასახული იყო.

კაპნისთავის (ცხოვრებაში მოხვდარმა ცვლილებებმა ყურადღება მიიპყრო. და აი უკვე [illegible] ადგილებზე [illegible] ბელი სოფლის ბერიძეების მცხოვრებლებმა მოითხოვეს ასეთივე შეხვედრა მოეწყოთ მათთვის. იგი ახლახან გაიმართა. საქმე, ძირითადად, ეხებოდა გზის კეთილმოწყობასა და ელექტრომეურნეობის წესრიგში მოყვანას. გულისტკივილით აღნიშნავდნენ მშრომელები, თუ როგორ გავლენას ახდენს რიტმული სატრანსპორტო კავშირის უქონლობა მათს მუშაობაზე. სანამ ჩაით სავსე მძიმე კალათებს აჭარისწყლის მიმღებ პუნქტში მიიტანენ, მწვანე ფოთოლი ხარისხს კარგავს, თუ რაოდენ უძნელდებათ აჭარისწყლის საშუალო სკოლის მოსწავლე ბავშვებს ამ გზის დაძლევა განსაკუთრებით უამინდობის დროს. ილაპარაკეს იმის შესახებ, თუ რა სახიფათოა მუშაობა დაქანებულ ბორკებზე ჩაძოკიდებული ელექტრული სადენების გვერდით.

და თუმცა გამართული შეხვედრის შედეგებზე ლაპარაკი ჯერ ადრეა, პირველი ნაბიჯები უკვე გადაიდგა. კორექტირება შეაქვთ გზის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში, სოფელში ჩაიტანეს ახალი ბოძები.

— ასეთი შეხვედრები, — თქვა ხელვაჩაურის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ თემურ მეგრელიშვილმა, — მოვაწყვეთ დაბა მახინჯაურში, სოფლებში ჩაისუბანში, გონიოში, თხილნარში, სარფში, კირნათში, კახაბერში.

ვერ ვიტყვი, რომ წამოჭრილი საკითხები ჩვენთვის მოულოდნელი იყო. მაგრამ ერთია, როცა მათ განიხილავ კაბინეტში, სხვაა, როცა პირისპირ ესაუბრები ადამიანებს. მათ შესახებ, რომლებსაც ქმედითი დახმარება სჭირდებათ. კმაყოფილებით აღვნიშნავ, რომ ბევრი საკითხი გადაწყდა და ოპერატიულად წყდება. სოფელთან ასეთი კონტაქტი აუცილებელია. იგი ჩვენ, საბჭოების მუშაობის ცვლილებებს ყურადღებიანად [illegible] ბელი სოფლის ბერიძეების [illegible] ურათა გვაძლევს, უფრო ახლოს გვაცნობს ადამიანებს, მათ საჭიროებებს, საზრუნავს, და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ზრდის ჩვენს ავტორიტეტს.

პარტიის XXVII ყრილობის დოკუმენტებში აღიხსნა, რომ ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების შესაძლებლობები მთელი რიგი საკითხების გადაჭრაში ჯერჯერობით შეზღუდულია, არსებობს მეტისმეტი ცენტრალიზაცია ისეთ საკითხებში, რომლებიც ყოველთვის როდი ჩანს ცენტრიდან და რომლებიც გაცილებით უკეთ გადაიჭრება ადგილებზე.

ახლა, გარდაქმნის პროცესში, ვცდილობთ უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ჩვენი უფლებები და უფრო ეფექტიანად ჩვენი შესაძლებლობები. ამას ემსახურება სწორედ აღმასკომის გასვლითი სხდომები, ღია დიალოგები სოფლის მშრომელებთან. მოქმედების სახელმძღვანელოდ ვიყენებთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებას „სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარებისათვის სახალხო დეპუტატთა საბჭოების როლის შემდგომი გადიდებისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“. იგი მიზნად იხახავს, უწმინარეს ყოველისა, საბჭოების როლის გაძლიერებას ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობაში, ადგილობრივი საბჭოთა ორგანოების უფლებათა გაფართოებას, რათა თითოეულმა სრულად აგოს პასუხი ყველაფრისათვის, რაც ეხება ადამიანების ყოველდღიური მოთხოვნილებებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებას.

თ. გენძეხაძე.

მეცხოველეობა დამკვრელური ფრონტია

● ●

წარმატებას შენარჩუნება უნდა

წლეულს ცუდად როდი იმუშავეს მაიაკოვსკელმა მეცხოველეებმა. რაიონის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა ცხრა თვეში საგებმო 305 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს მიჰყიდეს 358 ტონა ხორცი, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით მოიმატა წველადობამ — სახელმწიფოს 205 ტონით მეტი რძე ჩაბარდა. გარკვეული წარმატებები აქვთ საკვებმომპოვებლებსაც, მაგრამ საზოგადოებრივ მეურნეობათა ერთი ნაწილის ხელმძღვანელებმა ვერ გამოიყენეს ზაფხულის ხელსაყრელი პირობები გამოზამთრებისათვის მოსამზადებლად. მიუხედავად იმისა, რომ საზაფხულო სძოვრებიდან ნახირის ჩამოყვანა დაიწყო, ბოსლები ჯერ კიდევ შესაკეთებელი აქვთ. მაგალითად, ფერსათის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის ფერმებში, მართალია, რემონტი დაწყებულია, მაგრამ მუშაობის ტემპი ნელია, ბოსლებში შესაცვლელია იატაკი, ფანჯრები შეუმინავია, ფერმის ეზო დასასუფთავებელია. თითქმის ანალოგიური მდგომარეობაა ობჩის დიმიტროვის და ლენინის სახელობის, მაიაკოვსკის ლენინის, როხის ლენინის სახელობის კოლმეურნეობებშიც, მათს ფერმებში ცალკე გამოყოფილი არ არის სამშობიარო ოთახები, მექანიზაციის საშუალებანი, არა ჰყავთ მომსახურე პერსონალი, ბევრგან შესაკეთებელია ელექტრომაყაყანილობა, ამბროზიისაგან გაუწმენდავი იყო ფერსათის მახარაძის, დიმის სვირდლოვის, დიმის კალინინის, ობჩის ვ. ი. ლენინის სახელობის კოლმეურნეობების ფერმების ეზოები.

წესრიგში არ არის საკვების საამქრო დიმის კოლმეურნეობაში.

გამოზამთრებისათვის მზადებას რაიონში ხელი შეუშალა იმანაც, რომ საკმარისი არ არის საშენი მასალები, განსაკუთრებით შეფერხებებია ცემენტისა და შიფერით მომარაგებაში.

თვალსა და გულს ახარებს ვარციხის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მეცხოველეობის ფერმა, რომელიც კაპიტალურ შენობაშია მოთავსებული. აქ ზამთრისათვის ყველაფერი მზად აქვთ.

მაიაკოვსკელ მეცხოველეებს ოპერატიული ღონისძიებების განხორციელება მართებთ ზამთრისათვის ფერმების მომზადებისათვის, რათა ზაფხულში მიღწეული წარმატებანი შეინარჩუნონ.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

მოგებულია მჟიდველიც და მწარმოებელიც

ბარდანი. (საკ. კორ.). თელეთის ექსპერიმენტულმა საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმმა რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო თბილისის საკოლმეურნეო ბაზრებში თავისი პროდუქციის გაყიდვა სახელშეკრულებო წესით. მოგება საკმაოდ სოლიდური აღმოჩნდა, მარტო ერთ კვირაში 5 ათასი მანეთი შეემატა მეურნეობის სალაროს.

— მეურნეობას მშრომელთა პრემირების დამატებითი შესაძლებლობა გაუჩნდა, — გვითხრა მეურნეობის დირექტორმა ბ. მოისწრაფიშვილმა, — რაც დიდ სტიმულს გვაძლევს. ჩვენ მტკიცედ შევითვისეთ: პროდუქციის დანაკარგი დიდი ზარალია — ვკარგავთ შრომას, ფულს. არადა, „პიკის“ პერიოდში, როცა გადამმუშავებელ საწარმოთა ჭიშკრებთან დიდი რიგები იდგა, ჩვენ მცირე ზარალი როდი გვადგებოდა. ახლა ასე აღარ არის, მოსავლის ნაწილს ბაზარში ვგზავნით. თანაც ჩვენი პროდუქცია არაფრით არ ჩამოუვარდება მოსახლეობისას. ამ საქმეში თბილისის ბაზრებმაც შეგვწყვეს ხელი, მეურნეობებს საუკეთესო ადგილები დაგვითმეს.

— სამეურნეო დამოუკიდებლობის გაფართოებას. — თქვა გარდაბნის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა მ. გასანოვმა, — დღესდღეობით საბჭოთა მეურნეობებისათვის მინაჩენილი უფლებებს სარგებლობა მოაქვს. ჩვენმა მეურნეობამ საგებმო პროდუქციის 30 პროცენტი და აგრეთვე ბეგმის გადამეტებით მოყვანილი რომ გაყიდოს, სულ ცოტა ასი ათას მანეთ წმინდა მოგებას მიეღებთ. სარგებელი აქვთ მოსმბაზრებლებსაც და პროდუქციის მწარმოებლებსაც. ბაზარში, როცა პამიდორი, ბადრიჯანი და სხვა ბოსტნეული გავიტანეთ, საშუალოდ 20-25 პროცენტითაც კი დაიკლო ფასებმა. გარდაქმნას საფუძველი ჩაეყარა. ეს კი დიდი საქმეა.

მეგობრები დაეხმარნენ

საქართველოს წარგზავნილთა შორის, რომლებმაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ყაზახეთის ყამირ მიწებზე მოსავლის აღებაში, იყო გორის რაიონის მძღოლების ჯგუფი. 42 მანქანას მინდვრებიდან ელევატორში ყოველდღიურად გადაჰქონდა 500-600 ტონა მარცვლეული.

ქართლის წარგზავნილებმა სხვა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებიც შეასრულეს. მათ გადაიტანეს 800 ტონამდე სილოსი, 200 ტონა კარტოფილი, მრავალი სხვა პროდუქტი.

გორის რაიონის წარგზავნილებმა ერთი დღის ხელფასი გადარიცხეს ჩერნობილელთა დახმარების ანგარიშზე.

სურათებზე: ქართველი ყამირელები პრესნოვკის რაიონის ელევატორთან; მოსავლის აღება ჩრდილოეთ ყაზახეთის პრესნოვკის რაიონის სოფელ კამანკის საბჭოთა მეურნეობის მინდვრებში.

თ. ნაფიშვილის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ქამირის ტრასეზზე

დღისითაც და ღამითაც ეწეოდნენ სამსახურს ჩრდილოეთ ყაზახეთის ოლქის გზებზე საქართველოს მილიციის თანამშრომლები. თანამემამულე მძღოლებთან ერთად ისინი ჩამოვიდნენ აქ, რათა დახმარებოდნენ შინაგან საქმეთა ადგილობრივ ორგანოებს 1986 წლის მოსავლის გადაზიდვის ტრასებზე წესრიგის დაცვაში. ჯგუფს სათავეში უდგანან მილიციის პოდპოლკოვნიკები შახი ხუჭუა და აკაკი ბობოხიძე.

— ეს პირველი შემთხვევაა, როცა გახურებული ალოობის დროს დასახმარებლად ჩამოვიდა მოძმე რესპუბლიკის მილიციის რაზმი, — თქვა შინაგან საქმეთა საოლქო სამმართველოს უფროსმა, მილიციის პოლკოვნიკმა მიხეილ ბარანოვმა. — და ახლა, როცა ალოობა დამთავრდა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს გამოცდილება ყურადღებია. ის, რომ მოსავლის აღების მონაწილეთაგან მთელი ამ დროის მანძილზე არც ერთს სერიოზულად არ დაურღვევია საგზაო მოძრაობის წესები, საზოგადოებრივი წესრიგი, ჩვენი ქართველი კოლეგების დამსახურებაც არის. ჩვენი მეურნეობების ავტომობილების პარკს ალოობის დღეებში თითქმის სამი ათასი მანქანა შეემატა.

...არსებითად ოლქის შინაგან საქმეთა სამმართველოში იწყებოდა შ. ხუჭუასა და ა. ბობოხიძის ყოველი სამუშაო დღე. დილიდან ისინი ეცნობოდნენ აქ მოსულ ყოველდღიურ ცნობებს. შემდეგ ადარებდნენ მათ მონაცემებს, რომლებსაც საქართველოს ყამირელთა ოპერატიულ შტაბში იღებდნენ რაიონული შტაბებიდან. ყოველ რაიონში, სადაც მძღოლები მუშაობდნენ, თავმოყრილი იყო ოთხი კაცისაგან შედგარი მილიციელთა ოპერატიული ჯგუფებიც. ოპერატიული ჯგუფები მოქმედებდნენ რაიონულ ცენტრებში, აგრეთვე იმ მეურნეობებში, სადაც ყველაზე მეტი ავტომობილი ჰყავდათ. ჩვენი რესპუბლიკის მილიციის თანამშრომლები მორიგეობდნენ სახელმწიფო ავტოინსპექციის საგუშაგოებში, ადგილობრივი ორგანოების წარმომადგენლებთან ერთად აწყობდნენ დღისა და ღამის რეიდებს და მაფისე რეაგირებდნენ, თუ თავს იჩენდა ვაჟიე უწესრიგობა. მათ საშუალება ჰქონდათ ოპერატიულად დაკავშირებოდნენ რადიოთი და ტელეფონით რაიონულ ცენტრებს, ქართველ ყამირელთა ოპერატიულ შტაბს პეტროპავლოვსკში.

ერთხელ ბულაევის რაიონის ერთ-ერთ სოფელში ღამის რეიდის დროს გაირკვა: ქართველთა მანქანა სამუშაოდან არ დაბრუნებულა. დაუყოვნებლივ შეიქმნა ოპერჯგუფი. დაკარგული ავტომობილისა და მძღოლის საძებნელად მილიციის თანამშრომლებთან ერთად მძღოლებიც წავიდნენ. მალე მანქანას მიაგნეს. თურმე მანქანა, რომელიც ასრულებდა რეისს კალოდან ელევატორისაკენ, ტალახში ჩაფლულიყო.

— „მუნდირიან ყამირელებს“ უწოდებდნენ თავიანთ თავს საქართველოს მილიციის თანამშრომლები, რომლებიც მსახურობდნენ ჩრდილოეთ ყაზახეთში, — ღიმილით ამბობს შ. ხუჭუა. — და ეს ასეც არის. ბიჭები ხომ ცდილობდნენ ყველა პირობა შეექმნათ ყამირის მოსავლის რაც შეიძლება მალე აღებისათვის. ჩვენი რაზმელებიდან საუკეთესოთა შორის უნდა აღვნიშნო დროებითი პარტიული ორგანიზაციის პარტჯგუფორგი, მილიციის უფროსი ლეიტენანტი ვასილ გუცაევი, უფროსი ლეიტენანტები ბადრი შურაია, ჯემალ ფოფხაძე, ნიაზ აზაკიში, მრავალი მათი ამხანაგი. ახლა მოსავლის აღება დამთავრდა. ალოობის წარმატებით დამთავრებაში მათი წვლილიც არის.

დ. ბერძენიშვილი,
ი. ნიკიფოროვი.

გარდაქმნის გზაზე

დღეს პრესაში ქვეყნდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება, რომელიც ქობულეთის რაიონული გაზეთის „ლენინელის“ მუშაობას ეხება.

ეს იმას ნიშნავს, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს რაიონული და საქალაქო გაზეთების ეფექტიანობის ამაღლების კურსს, ყოველდღიურ ზრუნვას, დახმარებას და მხარდაჭერას არ აკლებს მათ.

ეს ამბავი ბევრისთვის, ალბათ, ადვილად ასახსნელია. ეს ამბავი ბევრ ადგილობრივ ჟურნალისტს, ალბათ, ადვილად ასახსნელ ამბავ ეჩვენება

ვესტოვეთი
ფაქტები • მოვლენები

გაბედული თაოსნობა

საზღვარგარეთის გამოხმაურებანი რეიკიავიკის შედეგებზე

რეიკიავიკის შეხვედრის შედეგები, ამ შედეგების შეფასება, რომელსაც შეიცავს საბჭოთა ტელევიზიით მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა, კვლავ საზღვარგარეთის ქვეყნების სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეთა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა კომენტარების უმნიშვნელოვანესი თემაა.

კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკა

საბჭოთა კავშირ-ამერიკის რეიკიავიკის შეხვედრაზე სსრ კავშირმა გამოიჩინა გაბედული თაოსნობა და წამოაყენა კონსტრუქციული წინადადებანი, რომელთა მიზანია ბირთვული შეიარაღების შემცირება, და გულწრფელად ცდილობდა მათს განხორციელებას, წერს „ნოდონ სინმუნი“. ამრიგად, საბჭოთა კავშირმა მთელი სიცხადით გამოაცხადა თავისი პასუხისმგებლობა კვეყნად მშვიდობისა და უშიშროებისათვის, აგრეთვე თავისი ლენინური მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის ურყეობა.

აშშ

ამერიკის შეერთებული შტატების მშვიდობის საბჭოს აღმასრულებელმა დირექტორმა **ჯ. მაიერსონმა** განაცხადა: „საბჭოთა კავშირ-ამერიკის რეიკიავიკის უმაღლესი დონის შეხვედრის შედეგებმა ნათლად გამოავლინა, რომ რეიგანის ადმინისტრაციამ ბირთვული განიარაღება გადააქცია „ვარსკვლავეთის ომების“ ყბადაღებული პროგრამის მძვეალად. ამით ცხადი გახდა, რომ სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა ახლა მთავარი დაბრკოლებაა შეიარაღებისადმი კონტროლის დარგში საბჭოთა კავშირამერიკის მორიგებათა მიღწევის გზაზე. მისი რეალიზაცია მთელ მსოფლიოში სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაციას მოახდენს“.

იტალია

რომი. იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ბ. კრაქსიმ** აღნიშნა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის რ. რეიგანის რეიკიავიკში გამართულ შეხვედრას დიდი მნიშვნელობა აქვს. რეიკიავიკი, განაცხადა მან გაზეთ „სტამპისათვის“ მიცემულ ინტერვიუში, მნიშვნელოვანი ნიშანსვეტი გახდა. მოლაპარაკებისათვის ფართო გზა გახსნილია, თუმცა დრო და მოთმინებაა საჭირო დადებითი მორიგებების მისაღწევად.

გდრ

ბონი. მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა საბჭოთა ტელევიზიით ადასტურებს, რომ სსრ კავშირი ერთგულია განიარაღების დარგში რადიკალური ძვრების მიღწევის კურსისა, განაცხადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბუნდესტაგის დეპუტატმა „მწვანეთა“ პარტიისაგან, ბუნდესვერის გადამდგარმა გენერალმა **გ. ბასტიანმა.** დასავლეთევროპელი მოკავშირეების ინტერესების მიუხედავად, ამერიკის პრეზიდენტმა რეიკიავიკის შეხვედრაზე ისტორიული შანსი გაუშვა ხელიდან „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის“ სასარგებლოდ, რომლის მიზანია ცალმხრივი სამხედრო უპირატესობის უზრუნველყოფა. ამით მან ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო სამრეწველო კომპლექსის მოთხოვნები ცინიკურად კაცობრიობის მშვიდობისმოყვარე მისწრაფებებზე უფრო მაღლა დააყენა. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ უარი უნდა თქვას გამალებული შეიარაღების ვაძლიერების ვაშინგტონისეული მადესტაბილიზებელი კურსის მხარდაჭერაზე.

ბელგია

„რეიკიავიკის შეხვედრის შედეგების მიხედვით დღეს განსაკუთრებით საჭიროა, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა უარი თქვან ამერიკელთა ყბადაღებულ „ვარსკვლავეთის ომების“ პროგრამაში მონაწილეობაზე, — ნათქვამია **ბელგიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს** განცხადებაში. ბელგიის მუშათა კლასის ავანგარდი მოუწოდებს მთავრობას „ევროპელ მოკავშირეებთან ერთად განახორციელოს ღონისძიებანი, რომლებიც მოწმობს, რომ დასავლეთი ევროპა მზად არის ყველაფერი იღონოს, რათა რეიგანის ადმინისტრაციას გაასინჯნოს სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის პროგრამის გამო თავისი არაკონსტრუქციული პოზიცია.“

ყურადღების ცენტრში

ფხენიანი. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ყურადღება მიპყრობილია სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვისა და სსრ კავშირში მეგობრულ ვიზიტად მყოფი კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის კიმ ირ სენის შეხვედრებისა და მოლაპარაკების შედეგებისადმი. ორი ქვეყნის ხელმძღვანელთა ეს შეხვედრები, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი „ნოდონ სინმუნი“, დიდ წვლილს შეიტანს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ხალხების, სოციალისტური ქვეყნებისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთიანობისა და შეკავშირების განმტკიცებაში.

ამ ვიზიტის დროს, აღნიშნავს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის პრესა, გამოვლინდა ორი ქვეყნის ხალხთა ერთსულოვანი მისწრაფება განამტკიცონ ტრადიციული მეგობრობა და თანამშრომლობა სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა დარგში, გამოითქვა აზრი, რომ მზად არიან განაგრძონ მტკიცე ბრძოლა საერთო მიზნის მიღწევისათვის — აზიასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისათვის, ბირთვული იარაღის ლიკვიდაციისათვის. ქოსყოვში, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, კორეელი ხალხის სახელით გამოითქვა დიდი მადლიერება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოს და მთელი საბჭოთა ხალხისადმი იმისათვის, რომ ისინი აქტიურად უჭერენ მხარს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ბრძოლას დამოუკიდებელი მშვიდობიანი განვითარებისათვის.

გაეცნო რა საბჭოთა ხალხის მიღწევებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების დარგში, წერს კორეის შრომის პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო, კიმ ირ სენმა დიდი შეფასება მისცა სსრ კავშირის მშრომელთა წარმატებებს სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით სახალხო მეურნეობის ამოცანების შესრულებაში, ბედნიერება უსურვა საბჭოთა ხალხს.

ფართო მასშტაბის პროგრამა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი სსრ კავშირის მშვიდობისმოყვარული კოლეგიკის შესახებ

ფილოსოფიისა და კონკრეტული მოქმედების პლატფორმის შენადნობია.

უბირთვულიარაღო მსოფლიოსაკენ მიმავალი გზით წინსვლის დაწყება დაკავშირებულია ბირთვული გამოცდების შეწყვეტასთან, ხაზგასმულია წერილში. ამჟამად ამ ყველაზე გადაუდებელ ღონისძიებას რეალურად შეუძლია შეაჩეროს ბირთვული არსენალების ხარისხობრივი და რაოდენობრივი ზრდა, განაპირობოს მათი დაძველება და მოსპობა. სწორედ ამიტომაც, ხელმძღვანელობს რა კაცობრიობის ბედისათვის პასუხისმგებლობის გრძნობით, სსრ კავშირმა შემოიღო ბირთვულ აფეთქებათა ცალმხრივი მორატორიუმი. საბჭოთა კავშირის მორატორიუმი, რომელიც მოქმედებაა და არა მარტო წინადადება, საქმით ადასტურებს ბირთვული განიარაღების საბჭოთა პროგრამის სერიოზულობასა და გულწრფელობას, მის მოწოდებას, რომ ხორციელდებოდეს ახალი პოლიტიკა — რეალიზმის, პასუხისმგებლობისა და თანამშრომლობის პოლიტიკა.

მორატორიუმის გადაქცევა საბჭოთა კავშირ-ამერიკის ორმხრივ, შემდეგ კი მრავალმხრივ მორატორიუმად, ყველგან და ყველასათვის ბირთვული იარაღის გამოცდების აკრძალავი ხელშეკრულების დადება გადამწყვეტი ნაბიჯი იქნება განიარაღების მეორე ათწლეულის რეალიზაციის საქმეში, ხაზგასმულია დოკუმენტში.

● ბულგარეთი

გაიხსნა მნერალთა სოფიის საერთაშორისო შეხვედრა

სოფია. მთელი მსოფლიოს მწერლებმა ხმა უნდა აღიმაღლონ კაცობრიობის უზენაესი უფლებიან — მშვიდობის, სიცოცხლის უფლების დასაცავად. ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქში ამ კეთილშობილური განზრახვით მოიყარეს თავი მწერლებმა 69 ქვეყნიდან, მათ შორის სსრ კავშირიდან. ისინი მონაწილეობენ მწერალთა სოფიის VI საერთაშორისო შეხვედრაში, რომელიც მიმდინარეობს დევიზით „მშვიდობა პლანეტის იმედია“.

ფორუმის მონაწილენი გულთბილად შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის პასუხს მწერალთა სოფიის VI საერთაშორისო შეხვედრის ორგანიზატორების კითხვაზე.

ფორუმმა მიიღო ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის ტ. ჟივკოვის პასუხი, რომელშიც ხაზგასმულია, რომ ბულგარელი ხალხი თავის აწმყოსა და მომავალს უკავშირებს ბირთვული იარაღის ლიკვიდაციის აუცილებლობას, ნდობის, ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის კლიმატის განმტკიცებას. სწორედ ეს ამოცანებია ჩამოყალიბებული ყოვლისმომცველ სამშვიდობო პროგრამაში, რომელიც საბჭოთა კავშირმა წამოაყენა. აღვკვეთოთ ერთხელ და სამუდამოდ ომის საფრთხე — ეს არის დროის მთავარი მოთხოვნა. ამაზე არის დამოკიდებული მთელი კაცობრიობის მომავალი.

● სირია

მეგობრობის 29 წელი

დამასკო. ამ დღეებში ქვეყნის საზოგადოებრიობა აღნიშნავს საბჭოთა კავშირისა და სირიის ეკონომიკური და ტექნიკური თანამშრომლობის შეთანხმების ხელმოწერის 29 წლისთავს.

ორი ქვეყნის ნაყოფიერი და ურთიერთხელსაყრელი თანამშრომლობის წლებში საბჭოთა და სირიელი სპეციალისტების გაერთიანებული ძალისხმევით აშენდა 45 ობიექტი, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს რესპუბლიკის თანამედროვე ეკონომიას. ათასობით სირიელმა გაიარა ამ ობიექტებზე ოსტატობის სკოლა, მიიღო კვალიფიკაცია. ერთობლივ მშენებლობათა სიაში პირველია ევფრატის ჰიდროენერგეტიკული კომპლექსი, რომელსაც სირიის პრეზიდენტმა ჰ. ასადმა „საბჭოთა კავშირ-სირიის თანამშრომლობის ბაირახტარი“ უწოდა. უკანასკნელი ათი წლის მანძილზე აქ გამოშვებულია მთელ ქვეყანაში წარმოებული ელექტროენერგიის ნახევარზე მეტი.

საბჭოთა კავშირმა სირიას დიდად შეუწყო ხელი ნავთობის საბადოების დამუშავებასა და ათვისებაში, რკინიგზის ქსელის შექმნაში, სირიგაციო მშენებლობაში. შეთანხმების ხელმოწერიდან განვლილი წლების მანძილზე სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სასწავლებლები დაამთავრა 35 ათასმა სირიელმა.

● მოზამბიკი

სამგლოვიარო ღონისძიებანი მაპუტუში

მაპუტუ. მოზამბიკელი ხალხი ეთხოვება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო ხელმძღვანელს, აფრიკის სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეს, ფრელიმოს პარტიის თავმჯდომარეს, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტს სამორა მაშელს. დაუსრულებელ ნაკადად მოდიან დედაქალაქის მცხოვრებნი მაპუტუს აღმასკომის დიდ დარბაზში, სადაც ს. მაშელის ნეშტი ასვენია. სამგლოვიარო ღონისძიებანი მიმდინარეობს ქვეყნის ყველა ქალაქსა და პროვინციაში.

რესპუბლიკის ხელმძღვანელობის მისამართით მრავალი სამძიმრის წერილი და დეპეშა მოდის. სამრეწველო საწარმოების, საწარმოო კოოპერატივების კოლექტივები, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების ვეტერანები უდიდეს მწუხარებას გამოთქვამენ და აცხადებენ, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი კვლავაც იარონ ეროვნული ერთიანობის დამკვიდრების, ახალი საზოგადოების მშენებლობის გზით, დაიცვან რევოლუციური მონაპოვარნი მოზამბიკელი ხალხის მტრების ხელყოფისაგან. სამძიმრის დეპეშები გამოგზავნეს მთავრობამ, კომუნისტურმა და მუშათა პარტიებმა, ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობებმა.

ს. მაშელის დაღუპვის შემდეგ ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობას ახორციელებს ფრელიმოს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო, თქვა ფრელიმოს პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, მოზამბიკის სახალხო რესპუბლიკის სახალხო ასამბლეის მუდმივი კომისიის მდივანმა მარსელინუ დოს სანტუშმა. თუმცა ავიაკატასტროფის გარემოებათა. გამომძიება ჯერ არ დამთავრებულა, საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ პარტიიდის რეჟიმი მომართავდა მანევრებს, რათა მოესპო რესპუბლიკა და, კერძოდ, მისი პრეზიდენტი, აღნიშნა მან. ამას იუწყება მოზამბიკის საინფორმაციო სააგენტო.

არღვევენ ქვეყნის სუვერენიტეტს

ბოტსვანის წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციას

ნიუ-იორკი. ბოტსვანის მთავრობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყურადღება მიაპყრო იმას, რომ სამხრეთ აფრიკის ხელისუფალნი კვლავ უხეშად არღვევენ ამ აფრიკული ქვეყნის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას. დღეს გენერალური ასამბლეისა და უშიშროების საბჭოს დოკუმენტად გავრცელებულ ბოტსვანის მთავრობის განცხადებაში აღნიშნულია, რომ 19 და 20 ოქტომბერს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის შეიარაღებული ძალებისა და სამხედრო-საჰაერო ძალების ქვეგანყოფები შეიჭრნენ ქვეყნის ტერიტორიაზე და საჰაერო სივრცეში, გადმოსხეს ვერტმფრინავის დესანტი. სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ხელისუფალთ მტკიცე პროტესტი განუცხადეს ამ აქციების გამო.

● ავღანეთი

გაანადგურეს დუშმანთა ბანდები

ქაბული. დემოკრატიული ავღანეთის შეიარაღებულმა ძალებმა გაანადგურეს კანდაგარის პროვინციაში მოკალათებული რამდენიმე კონტრრევოლუციური ბანდა. როგორც ბახთარის სააგენტო იუწყება, მათ ხელში ჩაიგდეს დასავლეთის წარმოების დიდძალი იარაღი, რამდენიმე ტყვია-წამლის საწყობი.

• ავღანეთის კონტრრევოლუციამ მორიგი დანაშაული ჩაიდინა. დუშმანებმა რაკეტები დაუშინეს მუსლიმანთა წმინდა ადგილებს კუნარის პროვინციაში. ამ ბანდიტური გამოხდომის შედეგად დაზიანდა მეჩეთი და აკლდამა.

● ● ●

21 ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲑᲣᲜᲔᲑᲐ—ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ

„ᲩᲕᲔᲜ ᲑᲣᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲕᲐᲠᲗ—ᲘᲒᲘ ᲩᲕᲔᲜᲨᲘᲐ, ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘᲡᲘᲪ ᲛᲘᲡᲜᲘ ᲕᲐᲠᲗ ᲓᲐ ᲛᲙᲕᲓᲐᲠᲜᲘᲪ“

ᲕᲐᲟᲐ-ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐ

ᲛᲐᲗᲘ ᲜᲐᲮᲔᲚᲐᲕᲘ ᲛᲝᲡᲬᲝᲜᲗ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲨᲔᲜ ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲗᲐ ᲙᲝᲛᲑᲘᲜᲐᲢᲘᲡ ᲙᲔᲠᲐᲛᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲐᲐᲛᲭᲠᲝᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲡᲐᲝᲭᲝᲛᲑᲠᲝ ᲓᲦᲘᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ; ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘ ᲜᲘᲜᲝ ᲗᲐᲑᲐᲢᲐᲫᲔ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲨᲘ.

Ⓐ. ᲡᲐᲐᲙᲝᲕᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲔᲡ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ

ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲡᲠᲣᲚᲣᲤᲚᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲔᲚᲘ

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ შავი ზღვის სანაპიროზე ყველაზე ძველ, სოხუმის შუქურას 125 წელი შეუსრულდა. მძლავრი ელექტრონათურითა და ანტენებით დამშვენებული მისი ქათქათა თეთრი კოშკი მეზღვაურებისათვის საიმედო ორიენტირია. სოხუმის ყურის უძველესი ნაგებობა ამჟამად აღუურვილია ტექნიკის უკანასკნელი მიღწევის მიხედვით. 35 კილომეტრზე ჩანს მისი შუქი, რადიოშუქურის სიგნალები კი ორას კილომეტრზე გაისმის.

38-მეტრიანი კოშკი საზღვაო ნავსადგურის აკვატორიის ერთ-ერთი თვალწარმტაცი კუთხის შვენება გახდა.

საქმის მცოდნე სპეციალისტთა ერთსულოვანი კოლექტივი ემსახურება შუქურას. მისი უფროსი იური მიხეილის ძე ივანოვი საზღვაო კადრის ოფიცერი, ლენინგრადის სამხედრო-საზღვაო აკადემიის კურსდამთავრებული. მან ფლოტში 35 წელი იმსახურა. ისეთი ენთუზიასტების წყალობით, როგორიც იგია, მავი ზღვის ფლოტის პიროდრგრაფიული სამსახურის ფოთის უბანი, რომელშიც შედიან ბათუმის, ფოთის, სოხუმისა და ბიჭვინთის შუქურები, წლითიწლობით იმარჯვებს დარგის სოციალისტურ შეჯიბრებაში.

საინტერესო „ბიოგრაფია“ აქვს სოხუმის შუქურას. იგი აშენდა პარიზში, იქიდან ზღვით ჩამოტანეს და სოხუმის ყურეში დაამონტაჟეს. 1861 წელს იგი უკვე გზას უჩვენებდა ხომალდებს. რუსეთ-თურქეთის ომის დროს მას ზარბაზნები დაუშინეს მტრის ხომალდმა, ხოლო ასკერებმა, რომლებმაც ხელთ იგდეს სოხუმი, გაძარცვეს და ქვიშიან ნაპირზე წაალეწეს. 1878 წელს, დამპყრობთა განდევნის შემდეგ, შუქურა აღადგინეს რუსმა მეზღაურებმა და მას შემდეგ გზას უნათებს ადამიანებს.

— შუქურაზე მუშაობა პასუხსაგებია, გვითხრა ი. ივანოვმა, — ჩვენი მევახტეები განსაკუთრებული ყურადღებით ადევნებენ თვალს ზღვას. ეხმარებიან სამშობლოს სამხრეთის საზღვრების დამცველთ.

მკაცრი სამემრულებლო დისციპლინა უზრუნველყოფს შუქურის ყველა ტექნიკური საშუალების უწადო მომსახურებას.

იური მიხეილის ძემ სამუდამოდ დაიხსომა მეზღვაურთა დაუწერელი კანონი: „შუქურები ზღვების წმინდა სალოცავია. ისინი ეკუთვნიან ყველას და ისევე ხელმეუხებელნი არიან, როგორც სახელმწიფოთა სრულფუფლებიანი წარმომადგენლები“.

თ. ᲯᲘᲑᲣᲢᲘ.

ᲘᲣᲜᲔᲡᲙᲝᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ სახაგრომრეწვის თხუთმეტი სპეციალისტი გახდა იუნესკოს პროგრამით შექმნილი აგროსამრეწველო კომპლექსის ხელმძღვანელი კადრების რეზერვის ობიექტურად ინსტიტუტთან მომზადების საბჭოთა კავშირში პირველი ფაკულტეტის მსმენელი. ფაკულტეტი გაიხსნა საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტთან არსებულ სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტში. 28 ოქტომბერს აქ მეცადინეობა დაიწყო. პროგრამა ხუთთვიან სწავლებას ითვალისწინებს.

საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელშეწყობით და მართვის პრობლემათა საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარდგინებით სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტი არჩეულია დაწესებულებად, რომელმაც უნდა განახორციელოს იუნესკოს პროექტი: „სადისციპლინთაშორისო სწავლებისა და კვლევა-ძიების მართვა და შეფასება“.

გაისად ფაკულტეტზე ისწავლიან ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მსმენელები, ხოლო 1988 წლიდან — განვითარებადი ქვეყნების სპეციალისტებიც. (ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘ).

ᲙᲝᲛᲔᲜᲘᲡᲢᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘᲐ

8800966, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ:

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-33-03, 99-03-09, ᲐᲛᲓᲒᲘᲕᲜᲘᲡ — 99-72-80, ᲡᲐᲛᲓᲒᲘᲕᲜᲘᲡᲘ — 99-66-10, ᲑᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ: ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ — 99-57-61, ᲛᲐᲠᲥᲔᲗᲘᲜᲒᲘᲡ — 99-55-01, ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ — 99-52-46, ᲛᲠᲔᲕᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲠᲔᲓᲘᲢᲘᲡ — 93-20-34, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ — 93-18-70, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ — 93-27-58, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ — 99-55-01, ᲤᲝᲤᲝᲗᲘᲡ — 93-22-93, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 93-16-90, ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 99-60-21, ᲛᲣᲨᲠᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ — 99-73-24, ᲘᲚᲘᲣᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ — 93-28-54, ᲡᲐᲯᲝᲒᲐᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘᲡ — 93-95-24.

ᲡᲐᲥᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲝ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ — 290-68-47; ᲡᲝᲮᲣᲛᲘ — 2-40-19; ᲑᲐᲗᲣᲛᲘ — 3-41-69; ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ 2-22-52; ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ — 5-26-36; ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ — 14-27-87; ᲒᲝᲠᲘ — 2-33.10; ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ — 2-03-15; ᲤᲝᲤᲝᲗᲘ — 5-58-69; ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ — 6-34-44; ᲖᲣᲚᲘᲩᲐᲣᲠᲘ — 5-56-36; ᲗᲔᲚᲐᲕᲘ — 3-12-09; ᲧᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ — 23-66; ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ — 25-52.

ᲔᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲕᲘᲪᲝᲓᲔᲗ

ᲙᲚᲣᲑᲔᲑᲘ ᲠᲝᲛ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲓᲔᲡ

ᲩᲕᲔᲜᲡ რესპუბლიკაში უკვე ბევრგან გაფორმდა ორგანიზაციულად „ჯანმრთელობის“ კლუბები. მათ შორის იმათთვისაც, ვინც უკვე 30 წელზე მეტი ხნისაა. მართალია, ასეთი კლუბები იქმნება, ზოგან უკვე გარკვეული მუშაობაც გაიშალა, მაგრამ ბევრგან ჯერ კიდევ მათი მუშაობის ორგანიზაციული მხარე დახვეწას მოითხოვს.

ამიტომაც ურიგო არ იქნება, თუ მასობრივ-ფიზკულტურული გამაჯანსაღებელი მუშაობის ორგანიზატორებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის მოყვარულთა კლუბების თაობაზე საკავშირო პროფსაბჭოს, კომკავშირის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის სპორტსაბჭოს მიერ დამტკიცებული და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებული ტიპობრივი დებულების ზოგიერთ პუნქტს შევახსენებთ:

ამ დებულების თანახმად, ფიზიკური კულტურისა და სპორტის მოყვარულთა კლუბები იქმნება ნებაყოფლობით საწარმოებსა და დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სასწავლებლებში, სპორტულ ნაგებობებშიც, საბინაო-საეკსპლუატაციო ორგანიზაციებში, კულტურისა და დასვენების პარკებში;

კლუბებს უფლება აქვთ ჰქონდეთ საკუთარი სახელწოდება, წესდება, ემბლემა. კლუბების რეგისტრაცია ხდება შესაბამის სპორტკომიტეტებში და მათ მუშაობას საერთო ხელმძღვანელობას უწევენ ის საწარმოები და ორგანიზაციები, სადაც ეს კლუბებია შექმნილი;

კლუბების მუშაობის დაფინანსებისათვის გამოიყენება ის თანხები, რომლებიც საპაონემენტო ჯგუფების მეცადინეობათა ორგანიზმების საფუძველზე გროვდება, აგრეთვე კლუბების წევრთა საწევრო შესატანებით. საწევრო შესატანების რაოდენობა განსაზღვრება ცალკეული კლუბების წესდებით, მეცადინეობის გადასახადის რაოდენობას კი ადგენენ ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები ფინანსურ ორგანოებთან შეთანხმებული ანგარიშებისა და ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე;

სპორტული ფორმის, ინდივიდუალური და კოლექტიური ხარგებლობის ინვენტარის შეძენა მომეცადინეთა ხარჯზე ხდება. კლუბების საქმიანობის ყველა ფინანსურ ანგარიშსწორებას და ოპერაციებს, აგრეთვე საბუღალტრო აღრიცხვას აწარმოებენ იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების ბუღალტერიები, სადაც ეს კლუბებია შექმნილი;

ცხადია, ყოველივე ამის გათვალისწინება ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილი „ჯანმრთელობის“ კლუბების მუშაობას კიდევ უფრო მიზანდასახულს და ორგანიზებულს გახდიდა. ერთი სიტყვით, იქ, სადაც ამ პრინციპს იცავენ, ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა გაცილებით საინტერესო და სისხლსავსეა. თავის მხრივ გაზეთი „კომუნისტის“ რედაქცია სთხოვს კლუბების ხელმძღვანელებს, ამ კლუბებში მომეცადინეთ, მწერთნელებს, გაგვიზიარონ თავიანთი მოსაზრებანი შეძენილი გამოცდილების თაობაზე, წამოაყენონ წინადადებანი კლუბების მუშაობის კიდევ უფრო ფართოდ გაშლის შესახებ.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐ. გთავაზობთ საკავშირო ფედერაციის თასის გათამაშების ორივე ნახევარფინალური მატჩის შედეგებს: „ზენიტი“-„არარატი“ — 1:0, „დნეპრი“-„სპარტაკი“ — 4:0, ამრიგად, ფინალში გავიდნენ „ზენიტი“ და „დნეპრი“.

ᲕᲔᲚᲝᲡᲞᲝᲠᲢᲘ. მოსკოვში, „კრილატსკის“ ტრეკზე გამართული საერთაშორისო შეჯიბრების ორი დღის განმავლობაში ხუთი მსოფლიო რეკორდი დამყარდა: ლენინგრადელმა ვ. ეკიმოვმა ერთსაათიანი რბოლის დროს სამი მსოფლიო რეკორდი გაუთმაობესა—10 კილომეტრზე (11.51,493), 20 კილომეტრზე (23.52,098) და საათიან რბოლაში (დაფარა 49,672 კმ). ჰოლანდიელმა ფ. როდობერგმა ლიდერ ი. სტეკენბურგთან ერთად პროფესიონალ ველოსიპედისტთა შორის ორი მსოფლიო რეკორდი გაუთმაობესა. მან სალიდერო რბოლის 1 საათში დაფარა 81,391 კმ, ხოლო 100 კმ გაიარა 1 საათში, 13 წუთსა და 55 წამში.

ᲮᲝᲙᲔᲘᲡᲢᲘ. ამ ბოლო ხანს უიმბლდონის ორგზის ჩემპიონი ბ. ბეკერი (გფრ) ზედიზედ იგებს საერთაშორისო შეჯიბრებებს. ახლახან მან კიდევ ერთი შთამბეჭდავი გამარჯვება იზეიმა: ტოკიოში გამართული შეჯიბრების ფინალში იგი მეხვდა ს. ედბერგს (შვეიცია) და იგი დაამარცხა ანგარიშით 7:6, 6:1.

Ⓐ. ᲗᲔᲚᲐᲕᲘ 27-31 ოქტომბერს მასპინძლობს საერთაშორისო სემინარს თემაზე „მთიანი რაიონების ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები“. მისი ორგანიზატორები არიან გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციის (იუნესკოს) საერთაშორისო პროგრამა „ადამიანი და ბიოსფეროს“ საქართველოს ეროვნული კომიტეტი, ამავე პროგრამის მეექვსე პროექტის („ადამიანის ზემოქმედება ბუნებრივ ეკოსისტემებზე“) მოთავე ცენტრი, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარემოს დაცვის პროგრამის (იუნეპი) საბჭოთა კომიტეტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი და საქართველოს გეოგრაფთა საზოგადოება.

სემინარის მონაწილეები საბჭოთა და უცხოელ მეცნიერთა 60-ზე მეტ მოხსენებას მოისმენენ. თემატურად ისინი პრობლემათა ფართო სპექტრს მოიცავენ — მთიანი მხარეების რაციონალური ბუნებათსარგებლობა, დემოგრაფია, რეკრეაციული ათვისება, ეკონომიკური განვითარება, განსახლების სისტემების სრულყოფა და სხვა აქტუალური საკითხები. მეცნიერები განსაზღვრავენ მთიანი ეკოსისტემების მდგრადობასა და ცვალებადობას, სიმაღლის სარტყლების მიხედვით მოსახლეობის სტრუქტურას და ა. შ.

სემინარი მნიშვნელოვანი ეტაპია მთიანი მხარეების კომპლექსური შესწავლის საქმეში. საერთაშორისო დონეზე კვლევითი სამუშაოების კოორდინაცია უთუოდ შეუწყობს ხელს მთიანი რეგიონების ბუნებრივი და ეკონომიკური რესურსების ოპტიმალურად ათვისებას, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ექნება ჩვენი რესპუბლიკისათვის, რომლის ტერიტორიის უმეტესი ნაწილი საშუალო და მაღალმთიან ზონებს უკავია.

საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია ოდითგანვე დაკავშირებულ იყო მთებთან. კავკასიონი და სამხრეთი მთიანეთი ქართველური ტომების განსახლების უძველესი არეალია. აქ, ბართან ერთად, ჩამოყალიბდა ერის მატერიალური და სულიერი კულტურა. მთების წიაღიდან იღებდა ჩვენი წინაპარი მადანს, სამშენებლო ქვას, მთის ტყეებიდან — სათბობს, მთის მდინარეებიდან — სასმელ და სარწყავ წყალს. მაღალმთიან საძოვრებზე შეფენილი იყო მრავალრიცხოვანი ფარები. მდინარეულ ტერასებზე სახნავი მიწები, ვაზი და ხეხილი ახარებდა მშრომელი კაცის გულს.

მთები — მშვიდობიან ცხოვრებაში ადამიანთა საარსებო წყარო — მტრის შემოსევის დროს შეუვალ თავშესაფრად იქცეოდა. გადაუჭარხებლად შეიძლება ითქვას, რომ მძიმე ისტორიულ პერიოდებში მთამ გადაარჩინა ქართველი ერი ფიზიკური განადგურებისაგან.

საერთო სათაურით „ადამიანები და მთები“ გთავაზობთ მოსახლეობისა და მთიანი ეკოსისტემების თანამოქმედებისადმი მიძღვნილ წერილებს.



ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲗᲔᲑᲘ

ᲛᲗᲔᲑᲘ დღესაც საქართველოს სამეურნეო ორგანიზმის არსებითი შემადგენელი ნაწილია, აქ ცხოვრობს რესპუბლიკის მოსახლეობის საერთო რაოდენობის 11 პროცენტზე მეტი. იქმნება საქართველოს ეროვნული შემოსავლის 6 პროცენტი. მთებში აგებულ ჰიდროელექტროსადგურებზე საქართველოში წარმოებული ელექტროენერგიის მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის. განვითარდა სამთო მრეწველობა—ტყვიის, თუთიის, დარიშხნის, ბარიტის, ანდეზიტის, დოლომიტის, მარმარილოს და მრავალი სხვა სახის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, მთის ტყეებში ასიათასობით კუბური მეტრი მერქანი მზადდება, ხოლო მაღალმთიანი საძოვრები საქართველოს მეცხოველეობის მთავარი საკვები ბაზაა, შექმნილია ათობით მთის კურორტი, მათ შორის საქვეყნოდ ცნობილი ბორჯომი, შოვი, აბასთუმანი, კავკასიონსა და სამხრეთ მთიანეთს მრავალი საკავშირო და საერთაშორისო ტურისტული მარშრუტი კვეთს, ხოლო ზამთარში ათასობით სამთო-სათხილამურო სპორტის მოტრფიალე ეწვევა ბაკურიანსა და გუდაურს.

მთები საქართველოს ეკოლოგიურ სიტუაციასაც განსაზღვრავს. მთის ტყეები რესპუბლიკის „ფილტვებია“, მთის წიაღში იბადება სამელი წყლის მაცოცხლებელი წყაროები. ცხობილი ნაკრძალები — ლაგოდეხის, ბორჯომის, რიწის და მრავალი სხვა პირვანდელ სახეს უნარჩუნებს მთის ბუნებას, რომელიც მხოლოდ პოეტების შთაგონების წყაროა როდია.

მთებს თავისი რთული პრობლემებიც აქვს. ადამიანის სამეურნეო ზემოქმედების შედეგად მთის ბუნებას საფრთხე ექმნება. მხედველობაში გვაქვს არა მარტო რესურსული პოტენციალის არარაციონალური ექსპლოატაცია, რაც თავისთავად ზიანს აყენებს ბუნებრივ ეკოსისტემებს, ისინი ხომ ნაკლებად გამძლე არიან ბარის ეკოსისტემებთან შედარებით. მაღალმთიანი საძოვრების გადათელვა ჭარბი ძოვების პირობებში, დამსვენებელთა და ტურისტთა კონცენტრაცია ზოგიერთ ადგილებში, ეროზიული პროცესების გაძლიერება სატყეო და სოფლის მეურნეობის უსწორო გაძღოლის გამო, ნიადაგსაფარის დარღვევა სამრეწველო და სატრანსპორტო მშენებლობისას საგრძნობლად აზიანებს ბუნებას, აძლიერებს მთებისათვის ეს-ოდენ დამახასიათებელ სტიქიურ დამანგრეველ პროცესებს.

მაგრამ საქართველოს მთების მთავარი საზრუნავი მაინც ადამიანია, მთის მკვიდრი მოსახლეობა, მისი ცხოვრების პირობები. ბევრი სხვა მთიანი ქვეყნის მსგავსად, ჩვენს რესპუბლიკაშიც მეტად მტკივნეული პრობლემაა მაღალმთიანი და, ნაწილობრივ, საშუალომთიანი ზონის გაუაკრილება (დეპოპულაცია). მკვეთრად გაძლიერდა მთიდან ბარში ჩამოსახლების პროცესი. ზოგიერთ რაიონში მან სტიქიური ხასიათი მიიღო და მაღალმთიანი ზონა მუდმივი მოსახლეობისაგან ფაქტობრივად დაიცალა. მთები კარგავს მთავარ საწარმოო ძალას — მოსახლეობას.

განსაკუთრებით გამწვავდა მდგომარეობა კავკასიონის ფერდობებზე განლაგებულ რაიონებში. გაუკაცრიელდა უწინ საკმაოდ მჭიდროდ დასახლებული თუშეთი, ფშავ-ხევსურეთი, მკვეთრად შემცირდა მოსახლეობა ყაზბეგისა და ჯავის რაიონებში, მთიულეთ-გუდამაყარში. მასობრივი მიგრაციის კლასიკურ მაგალითად რაჭა-ლეჩხუმი იქცა, სადაც ახლა გაცილებით უფრო ნაკლები ადამიანი ცხოვრობს, ვიდრე XIX საუკუნის დამლევს. ჯერ კიდევ 1959 წლის აღწერით აქ 76 ათასი კაცი ცხოვრობდა, 1986 წლის დასაწყისისათვის კი ეს რაოდენობა შესამჩნევად შემცირდა. ანალოგიური მდგომარეობაა კავკასიონის სხვა რაიონებში, რომელთა მოსახლეობა მარტო უკანასკნელი 15 წლის მანძილზე (1970-1985) საშუალოდ 10-20 პროცენტით შემცირდა.

საბედნიეროდ, ყველგან როდია ასეთი სავანგაშო დემოგრაფიული სიტუაცია. სტაბილურია მოსახლეობა სვანეთში, იზრდება შიდა აჭარის მცხოვრებთა რაოდენობა. მაგრამ საერთო ანგარიშით მდგომარეობა მაინც ძალზე რთულია. მოსახლეობის რაოდენობის აბსოლუტური შემცირება ამ პრობლემის მხოლოდ ერთი მხარეა. რაოდენობრივ ცვლილებებს უარყოფითი ხარისხობრივი ცვლილებებიც მოჰყვება. მთებიდან წასული მოსახლეობის უმრავლესობას ხომ ჯანღონით სავსე ახალგაზრდები შეადგენენ. მთებში კი რჩებიან მოხუცი ადამიანები, რომელთა შრომის უნარი მკვეთრად დაქვეითებულია. რაჭის მოსახლეობის თითქმის მესამედს პენსიონერები შეადგენენ. აქ არის სოფლები, სადაც წლების მანძილზე არ გამართულა ქორწილი, არ დარწეულა აკვანი. ამბროლაურის, ონის, ცაგერის რაიონებში უფრო მეტი ადამიანი კვდება, ვიდრე იბადება, და მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობის ბალანსი უარყოფითია. ასეთი ვითარება თუ გაგრძელდა, XXI საუკუნეს რაჭა-ლეჩხუმი მოსახლეობისაგან დაცლილი შეხვდება.

ბუნებრივია, იბადება კითხვა, რამ განაპირობა ასეთი მძიმე დემოგრაფიული სიტუაცია საქართველოს მთებში. პასუხი ამ წერილს დასაწყისში მოყვანილ ორ ციფრში მოჩანს — ერთ სულ მცხოვრებზე გაანგარიშებით ეროვნული შემოსავალი მთაში ორჯერ უფრო მცირეა ბართან შედარებით, ესე იგი მიზეზი მთიანი რაიონების სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენაა, რაც, გარკვეულ ფარგლებში, ინდუსტრიალიზაციის დაბალი დონით აიხსნება. მრეწველობის ხვედრითი წილი ერთობლივ საზოგადოებრივ პროდუქტში მთიან რაიონებში, როგორც წესი, 10-15 პროცენტს არ აღემატება, საშუალოდ რესპუბლიკაში კი 60 პროცენტზე მეტია. ამავე დროს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით 1,5—2-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ბარში. განსაკუთრებით მცირეა ამ მხრივ კავკასიონის ცენტრალური რაიონების მაჩვენებლები. შედარებით მცირეა მთიან რაიონებში შრომის ნაყოფიერებაც სოფლის მეურნეობაში და მისი ეკონომიკური ეფექტიანობა.

არასასურველი ტენდენციები შეიმჩნევა მთის მიწათმოქმედებაშიც. უკანასკნელი მეოთხედი საუკუნის მანძილზე კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე განლაგებულ რაიონებში ნათესი ფართობები 1,5-ჯერ შემცირდა. არ იზრდება მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა.

მთიანი რაიონების ჩამორჩენილობა სატრანსპორტო კომუნიკაციების განუვითარებლობითაც ვლინდება. ისინი მოკლებული არიან (ცალკეული გამონაკლისის გარდა) რკინიგზის ტრანსპორტს. ტერიტორიის ერთეულზე გაანგარიშებით სატრანსპორტო ქსელის სიმჭიდროვე 2-4-ჯერ ნაკლებია ბარის რაიონებთან შედარებით.

მატერიალური წარმოების არაადეკვატური განვითარება განსაზღვრავს სოციალური ინფრასტრუქტურის დაბალ დონესაც. ერთ სულ მოსახლეზე სავაჭრო ბრუნვისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობით, სამედიცინო პერსონალის რაოდენობით მთის რაიონები 30-50 პროცენტით ჩამორჩებიან ბარს.

როგორც ვხედავთ, მთიანი რაიონების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები მეტად რთული და მრავალწახნაგოვანია. ისინი საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მუდმივი ყურადღების ცენტრშია. ამას ადასტურებს ცალკეული მთიანი რაიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შესახებ მიღებული დადგენილებები, რომელთა შესრულება წარმატებით მიმდინარეობს.

უკანასკნელი წლების მანძილზე მთიან რაიონებში დიდი სამუშაოები შესრულდა სატრანსპორტო, სასკოლო, სამედიცინო, საყოფაცხოვრებო-კულტურული მშენებლობის დარგში. მთის ბევრ დასახლებულ პუნქტში აშენდა საქართველოს მსხვილი სამრეწველო სწორმოს ფილიალები და საამქროები. თუ 1970 წელს მთიან რაიონებზე მოდიოდა რესპუბლიკის სამრეწველო-საწარმოო პოტენციალის 2 პროცენტი, დღეს ეს მაჩვენებელი ერთიანობად გაიზარდა. დადებითი ძვრები შეიმჩნევა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაშიც. **ყოველივე ამის შედეგად რამდენადმე შემცირდა მიგრაციული პროცესი, შეიმჩნევა მთაში მოსახლეობის დაბრუნების ტენდენცია, რაც რამდენიმე სოფლის აღორძინებით აიხსნა.**

მიუხედავად ამისა, მთის რაიონების სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენის სრული დაძლევა მომავლის საქმედ რჩება. ვფიქრობთ, რომ მისი მოგვარება დაკავშირებულია, უპირველესად, საკურორტო-ტურისტული და სატრანსპორტო მშენებლობის განხორციელებასთან. მთ უფრო, რომ ამის დადებითი მაგალითი რესპუბლიკაში უკვე არის. მხედველობაში გვაქვს ბორჯომის ადმინისტრაციული რაიონი. რთული ბუნებრივი პირობების მიუხედავად, რეკრეაციული ფუნქციის ინტენსიური განვითარების საფუძველზე, აქ ჩამოყალიბდა მრავალდარგოვანი სამეურნეო კომპლექსი, რომელიც ეროვნული შემოსავლის 0,9 პროცენტს იძლევა, ესე იგი ერთ მცხოვრებზე გაანგარიშებით უფრო მეტია, ვიდრე საშუალოდ რესპუბლიკაში. იზრდება რაიონის მოსახლეობაც.

უფრო მცირე მასშტაბით ანალოგიური ხასიათის ფაქტები საქართველოს სხვა რაიონებშიც შეიმჩნევა. ასე, მაგალითად, რაჭა-ლეჩხუმის მოსახლეობის საერთო შემცირების ფონზე ყურადღებას იქცევს სოფელ გლოლას მოსახლეობის სტაბილურობა, რაც კურორტ შოვთან სიახლოვით აიხსნება. ტურისტული ფუნქციის განვითარების ბაზაზე საკმაოდ მსხვილ დასახლებულ პუნქტად იქცა ფასანური დუშეთის რაიონში. თბილისის შემოგარენის მთის დასახლებული პუნქტების გაუაკრიელების ფონზე აღინიშნება საკურორტო ფუნქციის მქონე დაბების (წყნეთი, კოჯორი, მანგლისი) მოსახლეობის ზრდა.

დიდი სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელობა ექნება სატრანსპორტო მშენებლობას. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს რკინიგზის ხაზი მარაბდა-ახალქალაქი, რომელიც საგრძნობლად აამაღლებს სამხრეთ საქართველოს რაიონების ეკონომიკურ დონეს. უდიდესი ახალშენებლობაა კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის ხაზი, რომელიც აღორძინებს მისი ტრასის გაყოლების განლაგებულ ტერიტორიას. უახლოეს წლებში ვიგრძნობთ აგრეთვე როკის უღელტეხილზე გამავალი ტრანსკავკასიის საუღელტეხილო მაგისტრალის დაფებით სამეურნეო გავლენას მიმდებარე ტერიტორიაზე.

სატრანსპორტო მშენებლობა საფუძველს შეუქმნის საკურორტო-ტურისტული მეურნეობის ფართოდ განვითარებას. გუდაურის სამთო-სათხილამურო ტურისტული კომპლექსის მშენებლობა, რომელიც მეოორმეტე ხუთწლედშია დაგეგმილი, მხოლოდ პირველი ნაბიჯია საქართველოს მაღალმთიანეთის რეკრეაციული რესურსების ათვისების საქმეში. „დიდი ბაკურიანი“, სვანეთი, მთიანი აფხაზეთი, თუშეთი,—ყველა ამ რეგიონში პროგნოზულ პერიოდში ახალი მსხვილი ტურისტული ობიექტები აშენდება.

მთის რაიონებში ახალი სამეურნეო მშენებლობის განხორციელება არამარტო ხელს შეუწყობს მათი ბუნებრივ-რესურსული პოტენციალის უფრო სრულ გამოყენებას, არამედ განაპირობებს მთისა და ბარის ეკონომიკური დონის გათანაბრებას და უზრუნველყოფს მთის ტერიტორიების ყოველმხრივ სოციალურ განვითარებას.

Ⓔ. ᲙᲝᲛᲑᲐᲮᲘᲫᲔ.
გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲐᲗᲘ: ᲮᲔᲕᲡᲣᲠᲔᲗᲘ. ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲑᲘᲡᲘ.

Ⓑ. ᲓᲐᲗᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ.

ᲓᲐᲙᲕᲘᲠᲕᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜ